









Антон Павлович Чехов

# ЧАЙКА

ანტონ ჩეხოვი

# თოლია

## მიხეილ ქვლივიძის თარგმანი

დაიბეჭდა ჟურნალ "საბჭოთა ხელოვნებაში", 1980 წ. № 7
წარმოდგენილი ეგზემპლარის მომზადებისას, ვისარგებლეთ ჟურნალის ელვერსიით, რომელიც დაცულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხორავა გამოჩენილი აქტიორი გახდა, თუმცა მისთვის არ იყო დამახასიათებელი ის თვისებები, რომლებსაც მარჯანიშვილი მსახიობში აფასებდა. იგი სრულიად სხვა კატეგორიის, სხვა მასშტაბის ხელოვანი იყო, ვიდრე უშანგი ჩხეიძე...

ხორავამაც კარგად იცოდა მარჯანიშვილის აზრი, რომელსაც რეჟისორი არ მალავდა. როცა მსახიობს როლიდან ანთავისუფლებდა, მარჯანიშვილი ყოველთვის პირდაპირ ეუბნებოდა მიზეზს, ასაბუთებდა თავის მოსაზრებებს. მკაცრი განაჩენი მას მოურიდებლად, საჯაროდ გამოჰქონდა ხოლმე...

საინტერესოა, რომ „მეფე ლირის“ დადგმის იდეა მოგვიანებით გაუჩნდა სანდრო ახმეტელსაც, რომელმაც ეს პიესა შეიტანა 1927-28 წლების რეპერტუარში. „ლირით“ უნდოდა სეზონის დაწყება. ზაფხულში, ბორჯომში ყოფნის დროს, იგი შეუდგა კიდეც რეპეტიციებს. თითქმის იგივე შემადგენლობა დასტოვა, ვერიკო ანჯაფარიძისა და ელენე დონაურის გამოკლებით, რომლებმაც მარჯანიშვილთან ერთად დასტოვეს რუსთაველის თეატრი.

ახმეტელმა, როგორც ჩანს, გაითვალისწინა აკაკი ხორავას წარუმატებლობის მიზეზები და განიზრახა ლირის სახე შეექმნა მსახიობის მონაცემების მიხედვით.

ახმეტელის ლირი მეფური დიდებულებით, პატრიციული კეთილშობილებით აღსავსე მოხუცი უნდა ყოფილიყო. სცენაზე გამოჩენისთანავე მაყურებელს უნდა ეგრძნო მისი დიდგვაროვნება. ახმეტელის აზრით, ლირი სამყაროს გამგებელი, ნახევრადღმერთი უნდა ყოფილიყო. მისი ლმობიერება გამოწვეული უნდა ყოფილიყო ლირის ძლიერებითა და განსაკუთრებულობით. სიდიადის მწვერვალზე ასული ლირი მეფური გულუხვობით დაასაჩუქრებდა თავის ქალიშვილებს. ამ ფაქტში ახმეტელი ხედავდა ლირის სიძლიერეს, დიდსულოვნებას. ახმეტელის ჩანაფიქრიც შექსპირის ტრაგედიის საინტერესო გააზრებას გვპირდებოდა. მას უნდოდა ლირის საოჯახო ტრაგედია აეყვანა ადამიანური ყოფიერების ტრაგედიამდე. იგი ლირის უბედურების საფუძველს მის გულუბრყვილობაში კი არ ხედავდა, არამედ მისი მსოფლმხედველობის მსხვრევაში, იმ მსოფლმხედველობისა, რომელსაც იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე აყალიბებდა და რომლის ამაოებაში დარწმუნებამ სამყაროს საშინელი სურათი გადაშალა მისი აღგზნებული და გაოგნებული გონების წინაშე.

კარგად მახსოვს პირველ მოქმედებაში ბრწყინვალედ გადაწყვეტილი გამოსვლა და მონოლოგი მასხარასი, რომელსაც უშანგი ჩხეიძე ანსახიერებდა. მაგრამ თვით ლირმა, მიუხედავად მომგებიანი გააზრებისა, მაინც ვერ ჰპოვა სათანადო ჟღერადობა. გარეგნულად იგი შესანიშნავი იყო, მაგრამ როგორც კი ხმას ამოიღებდა, ყველაფერი იკარგებოდა. ჩემი აზრით, აკაკი ხორავა არ იყო განთავისუფლებული იმ ტრავმისაგან, რომელიც ამ სპექტაკლზე მარჯანიშვილთან მუშაობის დროს გადაიტანა. ეს საერთოდ დამახასიათებელია რთული და სათუთი აქტიორული ფსიქიკისათვის...

ასე შეწყდა „მეფე ლირის“ რეპეტიციები...



### მოქმედი პირები:

**ირინა ნიკოლაევნა არკადინა** — ქმრის გვარით ტრეპლევა, მსახიობი
**კონსტანტინ გავრილოვიჩ ტრეპლევი**—მისი შვილი, ახალგაზრდა ვაჟი
**პიოტრ ნიკოლაევიჩ სორინი** — არკადინას ძმა
**ნინა მიხაილოვნა ზარეჩნაია** — ახალგაზრდა ქალიშვილი, მდიდარი მემამულის შვილი
**ილია აფანასიევიჩ შამრაევი** — გადამდგარი პორუჩიკი, სორინის ადგილ-მამულის მოურავი
**პოლინა ანდრეევნა** — მისი ცოლი
**მაშა** — მათი ქალიშვილი
**ბორის ალექსეევიჩ ტრიგორინი** — ბელეტრისტი
**ევგენი სერგეევიჩ დორნი** — ექიმი
**სემიონ სემიონოვიჩ მედვედენკო** — მასწავლებელი
**იაკობი** — სორინის მსახური
**მზარეული**
**მოსამსახურე ქალი**

მოქმედება სორინის მამულში ხდება.
მესამე და მეოთხე მოქმედებას შორის ორი წელიწადი გადის.

### მოქმედება პირველი

ბაღის ერთი კუთხე სორინის მამულში. ფართო ხეივანი, სცენის სიღრმეში მდებარე ტბისკენ რომ მიემართება, სახელდახელოდ აგებული „სცენით“ არის გადაღობილი. ამ „სცენის“ ორივე მხარეს ბუჩქნარია. იქვე რამოდენიმე მერხია და მაგიდა. მზე უკვე ჩასულია. „სცენაზე“, ფარდის უკან მუშაობენ იაკობი და სხვა მუშები. ისმის ჩაქუჩის რახუნი, შეძახილები, ჩახველება. მაშა და მედვედენკო გამოდიან მარცხენა კულისიდან. ისინი სეირნობიდან ბრუნდებიან.

**მ ე დ ვ ე დ ე ნ კ ო.** სულ შავი კაბა რატომ გაცვიათ?
**მ ა შ ა.** ჩემს თავს ვგლოვობ. უბედური ვარ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 120

ანტონ ჩეხოვი

# თოლია

## კომედია ოთხ მოქმედებად

თარგმნა მიხეილ ქვლივიძემ.

მედვედენკო. რატომ? (ჩაფიქრდება) ვერაფერი გამიგია... თქვენ ჯანმრთელობა არ გაკლიათ. მამათქვენიც, მართალია მდიდარი არ არის, მაგრამ შეძლებული კაცია. მე უფრო მიჭირს, ვიდრე თქვენ... ოცდასამ მანეთს ვიღებ თვეში, თან საპასწავლებლო გადასახადსაც ვიხდი და მაინც, მიუხედავად ამისა, თქვენსავით ჭირისუფალივით არ ვიცვამ. (ისინი სხდებიან).

მაშა. რა შუაშია ფული? უღარიბესი ადამიანიც შეიძლება ბედნიერი იყოს.

მედვედენკო. ეგ თეორიულად. პრაქტიკულად კი რა გამოდის? ჩვენს ოჯახში ხუთი სულია, მე, დედაჩემი, ორი უფროსი და და კიდევ მცირეწლოვანი ძმა, ჯამაგირი კი 23 მანეთია! ჭამა-სმა ხომ გვინდა? ჩაი, შაქარი... თამბაქოც იანგარიშეთ... ჰოდა ასეთ პირობებში როგორ გინდა იოლას გახვიდე?

მაშა. (ესტრადისკენ გაიხედავს) მალე წარმოდგენას დაიწყებენ.

მედვედენკო. დიახ... სპექტაკლში ზარეჩნაია ითამაშებს, პიესა კი კონსტანტინ გავრილოვიჩის დაწერილია. ამ ახალგაზრდებს ერთმანეთი უყვართ და დღეს მათი სულები შეერთდებიან, რათა ერთი მთლიანი ამაღელვებელი მხატვრული სახე შექმნან... მე და თქვენ კი სულ ასე ვართ, — ჩვენმა სულებმა ვერა და ვერ მონახეს ერთმანეთთან შეხების წერტილი! მე თქვენ მიყვარხართ, მაშა; უთქვენოდ ერთ დღესაც ვერ ვძლებ, ყოველ დღე ფეხით მოვდივარ თქვენთან — ექვსი ვერსი აქეთ, ექვსი იქით, — თქვენ კი... თქვენ ყურადღებასაც არ მაქცევთ. თუმცა, ეს გასაგებია! რას წარმოვადგენ მე თქვენთვის? სახსარი არ გამაჩნია, ოჯახიც მაწევს კისერზე... ბოლოს და ბოლოს, ისეთი რა გაგჭირვებიათ, რომ ცოლად გაჰყვეთ კაცს, ვისაც თავისი თავიც ვერ შეუნახავს?!

მაშა. სისულელეა. (ბურნუთს ყნოსავს) თქვენი სიყვარული დიახაც მაღელვებს, მაგრამ თანაგრძნობით ვერ გიპასუხებთ. (სათუთუნეს გაუწვდის) მიირთვით.

მედვედენკო. გმადლობთ, თავს შევიკავებ. (პაუზა).

მაშა. დახუთული ჰაერია, ალბათ გაწვიმდება... აი, თქვენ სულ ფილოსოფოსობთ ან ფულზე ლაპარაკობთ. თქვენი აზრით, სიღარიბეზე უფრო საშინელი არაფერია. მე კი მგონია, ათასჯერ უმჯობესია კაცი ღარიბი იყოს, ვიდრე... თუმცა თქვენ ამას ვერ გაიგებთ.

(მარჯვენა მხრიდან სორინი და ტრეპლევი შემოდიან)

სორინი. (ხელჯოხს ეყრდნობა) არა, ძამიკო, სოფლის ყოფა-ცხოვრება ჩემი საქმე არ არის! ვერასოდეს ვერ მივეჩვევი აქაურობას!.. წუხელ ათ საათზე დავწექი და დილით ცხრაზე რომ გამომეღვიძა, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ხანგრძლივი ძილისაგან ჩემი ტვინი თავის ქალას მიეწება და... მოკლედ... (ხელს ჩაიქნევს, იცინის) ნასადილევს კი, დასწყევლოს ღმერთმა, ისევ ჩამეძინა და ისეთი მოთენთილი ვარ ახლა, თითქოს... არ ვიცი, რა ვთქვა...

ტრეპლევი. მართალი ხარ, ძია. სოფელში შენი ცხოვრება არ იქნება. (მაშას და მედვედენკოს) ბატონებო, აქ ნუ გაჩერდებით, როცა დაიწყება, დაგიძახებთ. მიბრძანდით!

სორინი. (მაშას) მარია ილინიჩნა, გადაეცით, გეთაყვა, მამათქვენს, განკარგულება გასცეს, რომ ღამღამობით ძაღლი აუშვან ხოლმე, ისე ღმუის ის სამგლე, ჩემს დას წუხელაც არ ეძინა.

მაშა. თქვენ თვითონ ელაპარაკეთ მამაჩემს, არაფერსაც არ ვეტყვი. (მედვედენკოს) წავიდეთ.

მედვედენკო. (ტრეპლევს) მაშ, შეგვატყობინებთ, როცა დაიწყებთ? (გადიან).

სორინი. დასწყევლოს ღმერთმა, ისევ იღმუვლებს და მთელ ღამეს არ დაგვაძინებს! (ტრეპლევს) რა ვქნა ძმაო, ვერაფრით ვერ შევეგუე სოფელს! ყოფილა ხოლმე, შვებულება ამიღია 28 დღით, ჩამოვსულვარ აქ დასასვენებლად, სულის მოსათქმელად... მაგრამ ვინ გაცლის? პირველსავე დღეს თავზე დაგადგებიან ვიღაც-ვიღაცეები, გულს გაგიწყალებენ ათასგვარი სისულელითა და ისე გაგხდიან, ლამის არი ქუდმოგლეჯილი გარბოდე აქედან! (იცინის) სოფელში ჩამოსვლაზე რა მოგახსენო, აქედან კი ყოველთვის სიამოვნებით გავქცეულვარ. ახლა კი რა ვქნა, არ ვიცი. სამსახურიდან გადავდექი და თავს ზემოთ ძალა არაა: გინდა თუ არა, აქ უნდა ვიჯდე.

იაკობი. (ტრეპლევს) კონსტანტინ გავრილოვიჩ, ჩვენ საბანაოდ წავალთ.

ტრეპლევი. მალე დაბრუნდით. (საათს დახედავს) ათ წუთში დავიწყებთ.

იაკობი. კი, ბატონო. (გადის).

ტრეპლევი. (ესტრადას გადახედავს) ესეც შენი თეატრი! ფარდა, პირველი კულისა, მეორე... იქით კი, ცარიელი სივრცე. არავითარი დეკორაცია. უკანა პლანზე მხოლოდ ტბაა და ჰორიზონტი... ფარდას ზუსტად ათის ნახევარზე გავხსნით, როცა მთვარე ამოვა.

სორინი. დიდებულია.

ტრეპლევი. ზარეჩნაიამ თუ დაიგვიანა, მთელი ეფექტი, რასაკვირველია, დაიკარგება. ნეტა სად არის აქამდე? მამამისი და დედინაცვალი ისე დარაჯობენ საწყალს, გეგონება ციხეში ყავდეთ გამომწყვდეული... (სორინს ყელსახვევს გაუსწორებს) რა გაჩეჩილი ხარ, ძია! წვერი მაინც დაგევარცხნა...

სორინი. (წვერს ივარცხნის) რას იზამ, ძმაო, ეს ჩემი ცხოვრების ტრაგედიაა! ახალგაზრდობაშიც მუდამ ისე გაძოვიყურებოდი, თითქო ყოველდღე არაყს ვხუხავდი. ქალებს თავის დღეში არ ვყვარებივარ. (ჯდება) ჩემი დაიკო, რატომაა უგუნებოდ?

ტრეპლევი. მოიწყინა. (გვერდით მიუჯდება) თან ეჭვიანობს კიდეც. გული მოსდის, რომ ჩემს წარმოდგენაში ზარეჩნაია ითამაშებს... პიესა წაკითხულიც არა აქვს და უკვე სძულს.

სორინი. (იცინის) ნუ იგონებ რაღაცას.

ტრეპლევი. ლამის არის გასკდეს სიბრაზისაგან, რომ ამ პატარა სცენაზე წარმატება ზარეჩნაიას ერგება და არა მაგას! (საათს დახედავს) ფსიქოლოგიური კურიოზია დედაჩემი! უდავოდ ნიჭიერია, ჭკვიანიც არის. ნეკრასოვის ლექსებს ზეპირად კითხულობს, ქველმოქმედებასაც იჩენს — ავადმყოფებს უვლის, მაგრამ აბა სცადე და მისი თანდასწრებით ვინმე შეაქე, თუნდაც ელეონორა დუზე?!.. თავს გაგიხეთქავს!.. მარტო ის უნდა აქო, მარტო მასზე უნდა ილაპარაკო და სწერო, იყვირო, აღფრთოვანდე „კამელიებიან ქალში“ ან „ცხოვრების მხუთავ კვამლში“

მისი არაჩვეულებრივი თამაშით; და რადგან აქ, ამ სოფელში ეს მხუთავი და მათრობელა კვამლი არ მოიპოვება, მოიწყინა და ბრაზობს, ხოლო ჩვენ ყველანი, მისი პირადი მტრები ვართ, მის წინაშე დამნაშავენი... გარდა ამისა, დედაჩემი ცრუმორწმუნეცაა. შავი კატის ეშინია, ცამეტი რიცხვისაც... ძუნწიც არის. ოდესის ბანკში 70 ათასი აქვს შენახული, მაგრამ მანეთიანი რომ თხოვო, ტირილს დაიწყებს, უკაპიკოდ ვარო.

სორინი. შენ თვითონ მოიგონე, თითქო დედაშენს შენი პიესა არ მოსწონდეს და ნერვიულობ. დამშვიდდი, ის ქალი შენთვის ჭკუას კარგავს.

ტრეპლევი. (გვირილას მოწყვეტავს და ფურცლებს აცლის) „ვუყვარვარ-არ ვუყვარვარ“, „ვუყვარვარ-არ ვუყვარვარ“, „ვუყვარვარ-არ ვუყვარვარ“... (იცინის) ხედავ, არ ვუყვარებივარ. თუმცა რად უნდა ვუყვარდე? სიცოცხლით სავსე ქალია, სიყვარულს მოწყურებული, თეთრ კაბებს იცვამს, ქვეყანას თავს აწონებს. მე კი 25 წლისა ვარ და ჩემი არსებობით ყოველ წუთს ვახსენებ ხოლმე, რომ ის უკვე ახალგაზრდა არ არის... მარტო როცაა, დედაჩემი მხოლოდ 32 წლისაა, მე რომ გავჩნდები მის გვერდით და ხელად 43-ისა ხდება. სწორედ ამიტომ ვძულვარ! გარდა მაგისა, მან იცის თეატრისადმი ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება. მას კი თეატრი უყვარს, ჰგონია, რომ თავისი მსახიობობით კაცობრიობას, წმინდა ხელოვნებას ემსახურება... ჩემი აზრით კი, თანამედროვე თეატრი — რუტინაა, სიყალბე! ფარდა რომ აიხდება და მკრთალად განათებულ, სამი კედლით შემოღობილ ოთახში, რომელსაც სცენა ჰქვია, ეს დიდად ნიჭიერი ქურუმები წმინდა ხელოვნებისა გვიჩვენებენ ჩვენ, მაყურებლებს, თუ როგორ უნდა სვამდნენ, ჭამდნენ, დადიოდნენ და მოქმედებდნენ ადამიანები, როგორ უნდა ატარებდნენ ისინი ტანსაცმელს; როცა გაცვეთილი და უხამსი მოქმედებით და ფრაზებით ცდილობენ წარმოგვიჩინონ უბადრუკი მორალური მრწამსი — მრწამსი, რომელიც ადვილად გასაგებია და ერთობ სასარგებლოა ადამიანთა ყოველდღიური ყოფაცხოვრებისათვის; როცა ათასნაირი ვარიაციებით გვთავაზობენ ჩვენ ერთსა და იგივეს, ერთსა და იგივეს, ერთსა და იგივეს, — მე თავზარდაცემული გავრბივარ თეატრიდან, გავრბივარ ისე, როგორც მოპასანი ეიფელის კოშკს გაურბოდა, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწვებოდა მის ტვინს თავისი ტექნიკური უხამსობით...

სორინი. უთეატროდ არ იქნება.

ტრეპლევი. ახალი ფორმებია საჭირო, ძია, ახალი სახეები... ეს თუ არ იქნა, სულაც ნუ ყოფილა ნურაფერი! (საათს დახედავს) მე მიყვარს დედაჩემი, მართლა მიყვარს, მაგრამ... უაზროდ ცხოვრობს, უთავბოლოდ! აჰკიდებია იმ თავის მწერალს და გვერდიდან არ იშორებს. გაზეთებს ხომ ყბად აუღიათ მისი სახელი, წარამარა იმას ახსენებენ! ყოველივე ეს, გამოგიტყდები და მაღიზიანებს. ზოგჯერ კი ელემენტარული ეგოიზმიც იღვიძებს ჩემში: მწყინს რომ დედაჩემი ცნობილი მსახიობია. ასე მგონია, ჩვეულებრივი ქალი რომ ყოფილიყო, ბევრად უფრო ბედნიერი ვიქნებოდი... აბა, წარმოიდგინე, რა სულელურ მდგომარეობაში ვარ. დედაჩემთან სტუმრად მხოლოდ წარჩინებული პირები დაიარებიან, ცნობილი არტისტები, მწერლები, — სხედან, საუბრობენ, ჩაის სვამენ. მათ შორის მარტო მე ვარ არარაობა და ისინი ითმენენ ჩემ საზოგადოებას მხოლოდ იმიტომ, რომ მე არკადინას შვილი ვარ. მართლაცდა რას წარმოვადგენ? უნივერსიტეტის დამთავრება ვერ შევძელი, მესამე კურსიდან, როგორც იტყვიან „რედაქციისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო“ დამითხოვეს. არაფრის ნიჭი არ გამაჩნია, კაპიკი ფული არა მაქვს, პასპორტის მიხედვით კი — ჩვეულებრივი ფილისტერი ვარ, — მამაჩემი ხომ კიეველი მეშჩანი იყო, თუმცა ისიც ცნობილი მსახიობი გახლდათ... ჰოდა, ასე: როცა დედაჩემის სასტუმრო ოთახში ეს არტისტები და მწერლები ყურადღების ღირსად მხდიან ხოლმე და მოწყალებასავით სიტყვას იმეტებენ ჩემთვის, სულ მეჩვენება, თითქოს ამით ისინი კიდევ უფრო მამცირებენ და მე ვიტანჯები, წარმოუდგენლად ვიტანჯები...

სორინი. გამაგებინა ერთი, რა კაცია ის დედაშენის მეგობარი?

ტრეპლევი. ჭკვიანი კაცია... თავმდაბალი, ცოტა მელანქოლიური. უაღრესად პატიოსანია. ორმოცის ჯერ არ იქნება, სახელი კი უკვე გაითქვა და, ეტყობა, თავისი ბედით კმაყოფილია. რაც შეეხება მის თხზულებებს... აბა რა გითხრა? სასიამოვნოდ წერს, მაგრამ ტოლსტოისა და ზოლას შემდეგ მისი წიგნების კითხვა არ მოგინდება.

სორინი. მიყვარს ლიტერატორები. ოდესღაც, ახალგაზრდობაში, ორ რამეზე ვოცნებობდი: ცოლის თხოვაზე და მწერლობაზე. ვერცერთს ვერ მივაღწიე... ეჰ, პატარა მწერალიც რომ იყო, მაინც სასახელოა.

ტრეპლევი. (მიაყურადებს) ფეხის ხმა ისმის... (ბიძამისს მოეხვევა) არ შემიძლია უიმისოდ ცხოვრება! იმისი ფეხის ხმაც მაგიჟებს. ვერ წარმოიდგენ, რა ბედნიერი ვარ!

(შემოდის ნინა ზარეჩნაია, ტრეპლევი მის შესახვედრად გაეშურება) სასწაულო! ჩემო ოცნებავ!

ნინა. (აღელვებული) დავაგვიანე? არა, რასაკვირველია, არ დავაგვიანე...

ტრეპლევი. (ხელებს უკოცნის) არა, არა, არა!

ნინა. მთელი დღე ვნერვიულობდი... სულ მეშინოდა, რომ მამაჩემი არ გამომიშვებდა. საბედნიეროდ, ის და დედინაცვალი სადღაც წავიდნენ... რა წითელია ცა! ეტყობა, მთვარე ამოდის... ო, რა გიჟივით მოვაჭენებდი ცხენს!.. (იცინის) მაინც მიხარია. (სორინს მაგრად ჩამოართმევს ხელს).

სორინი. (იცინის) თვალები?.. თვალები რომ ნამტირალევი გაქვს?! ეე, ძამიკო, ეგრე არვარგა.

ნინა. არაფერია... სამწუხაროდ, ნახევარ საათში უნდა წავიდე... ღვთის გულისათვის, დიდხანს ნუ გამაჩერებთ! მამაჩემმა არ იცის, რომ აქ ვარ!

ტრეპლევი. ეხლავე დავიწყებთ. ხალხს დავუძახებთ და დავიწყებთ!

სორინი. შენ დარჩი, მე წავალ. (მიდის და მიიმღერის) „**Во франции два гренадёра**“... (მოიხედავს) ერთხელ მახსოვს დეპარტამენტში წავიმღერე რაღაც და პროკურორის ამხანაგი მეუბნება: „თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, ძლიერი ხმა გქვთო...“ მერე დაფიქრდა და დაუმატა „ოღონდ ძნელად მოსასმენიაო“... (იცინის და გადის).

ნინა. მამა და დედინაცვალი თქვენთან მოსვლას მიკრძალავენ, — ბოჰემური ოჯახიაო, ამბობენ... ეშინიათ, მსახიობი არ გავხდე. მე კი ამ ტბისკენ მომიწევს გული, როგორც თოლიას... ჩემი გული ხომ თქვენ გეკუთვნით, თქვენ ეს იცით. (მიმოიხედავს).

ტრეპლევი. ნუ გეშინიათ, მარტონი ვართ.

ნინა. იქ მგონი ვიღაცაა...

ტრეპლევი. არავინაა.

(გადაეხვევიან და კოცნიან ერთმანეთს).

ნინა. ამ ხეს რა ჰქვია?

ტრეპლევი. თელა.

ნინა. ეგეთი შავი რად არის?

ტრეპლევი. ბნელა და იმიტომ... გემუდარებით, ადრე ნუ წახვალთ, ცოტა ხანს დარჩით.

ნინა. შეუძლებელია.

ტრეპლევი. მაშინ მე გაგაცილებთ. თქვენი სახლის წინ ბაღში ღამეს გავათევ.

ნინა. არავითარ შემთხვევაში! ყარაული დაგინახავთ. ძაღლიც აყეფდება — ის ჯერ არ გიცნობთ...

ტრეპლევი. მიყვარხართ, ნინა!

ნინა. ჩუმად!

ტრეპლევი. (ფეხის ხმას გაიგონებს) მგონი მართლა ვიღაცაა... იაკობ, თქვენ ხართ?

იაკობი. (ესტრადის უკან) დიახ, ბატონო.

ტრეპლევი. ადგილები დაიკავეთ, ვიწყებთ... მთვარე გამოჩნდა?

იაკობი. გამოჩნდა.

ტრეპლევი. სპირტი მზადა გაქვთ? გოგირდიც? არ დაგავიწყდეთ — „ეშმაკის თვალები“ რომ აენთება, გოგირდი უნდა აახრჩოლოთ. (ნინას) აბა, მიდით. იქ ყველაფერი მზადაა. ღელავთ?

ნინა. საშინლად. დედათქვენის იმდენად არ მეშინია, როგორც ტრიგორინის. მრცხვენია მის წინაშე სცენაზე გამოსვლა, ცნობილი მწერალია... ახალგაზრდაა?

ტრეპლევი. თითქმის.

ნინა. რა კარგად წერს, არა?

ტრეპლევი. (ცივად) არ ვიცი, არ წამიკითხავს.

ნინა. თქვენი პიესის თამაში ძნელია: ცოცხალი სახეები აკლია.

ტრეპლევი. ცოცხალი სახეები! რა შუაშია ცოცხალი სახეები?

ბიბლიოთეკა

მხატვარმა თავის ოცნებაში წარმოდგენილი სინამდვილე უნდა ასახოს და არა ის, რაც სინამდვილეშია.

ნინა. თქვენს პიესაში ცოტა მოქმედებაა, ცარიელი სიტყვებია, გამოთქმები... მე კი მგონია, პიესაში აუცილებლად სიყვარულიც უნდა იყოს.

(ორივენი ესტრადისაკენ გაემართებიან. შემოდიან პოლინა ანდრეევნა და დორნი).

პოლინა ანდრეევნა. რა სინესტეა, ტანში მაჟრიალებს! დაბრუნდით, კალოში ჩაიცვით.

დორნი. მცხელა.

პოლინა ანდრეევნა. რად არ უფრთხილდებით თავს? ეს უბრალოდ სიჯიუტეა. ექიმი ხართ და მოგეხსენებათ, რომ ნესტიანი ჰაერი თქვენთვის საზიანოა. თქვენ კი განგებ აკეთებთ ამას, რომ გამაწამოთ და დამტანჯოთ. წუხელაც გვიანობამდე აივანზე იჯექით.

დორნი. (ჩაიღიღინებს) „**Не говори, что молодость сгубила**“...

პოლინა ანდრეევნა. თქვენ ისე იყავით გართული ირინა ნიკოლაევნასთან საუბრით, ვერც კი ამჩნევდით სიცივეს... გამოტყდით, მოგწონთ ის ქალი?

დორნი. 55 წლისა ვარ, ძვირფასო.

პოლინა ანდრეევნა. დიდი ამბავი! სიმწიფის ასაკია სწორედ. მშვენივრად გამოიყურებით და ქალებსაც მოსწონხართ.

დორნი. მერედა, რა გნებავთ?

პოლინა ანდრეევნა. მსახიობი რომ არის, იმიტომ ეკურკურებით? ვიცი, განა არ ვიცი.

დორნი. (ღიღინებს) „**Я вновь перед тобой**“... მსახიობები თუ უყვართ და სხვანაირადაც ეპყრობიან, ვიდრე მაგალითად, ვაჭრებს, — ეს სავსებით ბუნებრივია... ეს, ასე ვთქვათ, იდეალიზმია.

პოლინა ანდრეევნა. ქალები თქვენი გულისთვის ყოველთვის გიუდებოდნენ, ყელზე გეკიდებოდნენ... ესეც იდეალიზმია?

დორნი. (მხრებს აიჩეჩავს) რას იზამ? ქალებს მართლაც ვუყვარდი. ისინი ჩემში, პირველ ყოვლისა, კარგ ექიმს აფასებდნენ. ათი-თხუთმეტი წლის წინათ, თუ გახსოვთ, მთელ გუბერნიაში ჩემზე უფრო დახელოვნებული გინეკოლოგი არ მოიძებნებოდა. გარდა ამისა, მე პატიოსან კაცადაც მთვლიდნენ.

პოლინა ანდრეევნა. (მიეკრობა) საყვარელო!

დორნი. ფრთხილად, ვიღაცა მოდის!

(შემოდის სორინი, რომელსაც ხელკავით არკადინა შემოჰყავს, შემდეგ ტრიგორინი, შამრაევი, მედვედენკო და მაშა).

შამრაევი. ის მსახიობი პირველად პოლტავაში ვნახე, ბაზრობის დროს, ათას რვაას სამოცდაცამეტ წელს. გადასარევად თამაშობდა ჰო, მართლა, ირინა ნიკოლაევნა, შემახსენეთ ერთი გეთაყვა: სად არის ამჟამად კომიკური როლების დიდებული შემსრულებელი ჩადინი, პაველ სემიონოვიჩი? მახსოვს, რასპლიუევის როლში შეუდარებელი იყო! გეფიცებით ყველაფერს, თვით სადოვსკის ჯობდა!

არკადინა. რა სულ ბებრუხანებს იხსენებთ. აბა, რა ვიცი, სად არის! (ჯდება).

შამრაევი. (ამოიოხრებს) პაშკა ჩადინი! ასეთები ახლა სადღა არიან? დაკნინდა სცენა, ირინა ნიკოლაევნა! ძველად, მსახიობები ჯანმაგარ მუხებს გავდნენ, ახლა კი... გაჩეხილ ტყეს დაემსგავსა თეატრი.

დორნი. დიდი მსახიობი მართლაც იშვიათია ახლა, სამაგიეროდ, საშუალო ნიჭის მქონე მსახიობების დონე ამაღლდა.

შამრაევი. ვერ დაგეთანხმებით. თუმცა, როგორც იტყვიან, გემოვნების საკითხია.

(ესტრადის მხრიდან ტრეპლევი შემოდის).

არკადინა. (შვილს) როდის დაიწყებთ, შვილო?

ტრეპლევი. ამ წუთში, ცოტაც მოითმინეთ.

არკადინა. („ჰამლეტის“ ნაწყვეტს იმეორებს) „შენ ჩამახედე, შვილო, ჩემი სულის წიაღში, სულის ჭრილობა დამანახე განუკურნელი და ახლა ჩემთვის აღარც ხსნაა, არც გადარჩენა...“

ტრეპლევი. („ჰამლეტის“ ნაწყვეტითვე უპასუხებს) „რისთვის დაღუპე სული შენი ბიწიერებით, ანდა სიყვარულს რად ეძებდი ბოროტებაში“. (ესტრადის მიღმა ბუკის ხმა ისმის) ბატონებო, ყურადღება! ვიწყებთ! (პაუზა) მე ვიწყებ. (წკეპლას აკაკუნებს და ხმამაღლა, პათოსით წარმოთქვამს) ო, დარბაისელო და მხცოვანო აჩრდილებო წარსულისა, შეღამების ჟამს ამ ტბის მოსარკულ ზედაპირს თავს რომ ევლებით, დაგვაძინეთ და სიზმარში დაგვანახეთ ეს ქვეყანა ორასი ათასი წლის შემდეგ!

სორინი. ორასი წლის შემდეგ არაფერი არ იქნება.

ტრეპლევი. ჰოდა, ის არაფერი დაგვანახონ.

არკადინა. კეთილი, ბატონო, ჩვენ უკვე გვძინავს.

(ფარდა იხდება. გამოჩნდება მთვარით განათებული ტბის ზედაპირი. თეთრ კაბაში გამოწყობილი ნინა ზარეჩნაია ქვაზე ჩამომჯდარა).

ნინა. ლომები, ლომები, არწივები და კაკბები, რქაბუდა ირმები, გარეული ბატები, ობობები და წყალში მოცურავე თევზები, ზღვის ვარსკვლავები და, აგრეთვე, ისინიც, ვისაც ადამიანის თვალი ვერ ჭვრეტდა, — ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი ოდესღაც ცოცხლობდა, სუნთქავდა, არსებობდა, ყოველივე ეს გაქრა, განადგურდა, გაცამტვერდა... ათასი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც დედამიწის პირიდან სიცოცხლე აღიგავა და მხოლოდ ეს უბადრუკი საცოდავი მთვარის ფარანი ტყუილუბრალოდ ანთია ცის კაბადონზე... აღარ ყივიან ჭალებში გაღვიძებული წეროები და აღარ ბზუიან ბალახებში მოფუსფუსე მწერები... ცივა, ცივა... დაცარიელდა სივრცე და ირგვლივ სიჩუმეა, შემზარავი სიჩუმე...

(პაუზა)

ცოცხალ არსებათა სხეულები მტვრად იქცნენ, მატერიამ ისინი გააქვავა, წყლად აქცია, ღრუბლად აქცია და მათი სულები ერთარსებად გადაიქცნენ... სამყაროს სული — ეს მე ვარ... მე... ჩემშია ალექსანდრე მაკედონელის, კეისრის, შექსპირისა და ნაპოლეონის სული ისევე, როგორც უკანასკნელი ქვეშძრომისა... ადამიანთა შემეცნება და ცხოველთა ინსტინქტები ჩემში შეერთდნენ და მე მახსოვს ყოველივე, ყოველივე და მე განვიცდი ჩემს არსებაში თვითეულ სიცოცხლეს, რომელიც კი ოდესმე არსებობდა...

(ნინას ზურგს უკან ფოსფორული ნაპერწკლები აინთება).

არკადინა. (ჩუმად) ეს რაღაც დეკადენტურია!

ტრეპლევი. (მუდარით) დედა!

ნინა. მე მარტო ვარ... ას წელში ერთხელ თუ შეტოკდება ჩემი ბაგე და მაშინ ჩემი ხმა გაისმის როგორც ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა... და არავის ესმის ჩემი ძახილი... და თქვენც, მიმქრალო ცეცხლის ენებო, თქვენც არ გესმით ჩემი ხმა... თქვენ ჩნდებით განთიადისას დამყაყებული ჭაობის ზედაპირზე, აქა-იქ გამოკრთებით — უაზროდ, უსიცოცხლოდ, უნებისყოფოდ... სულ იმას შიშობთ, არ აღმოცენდეს თქვენში სიცოცხლე — მუდმივი მატერიის მშობელი. ყოველ წამს თქვენში, როგორც ქარში და წყალში, ატომთა ბრუნვას აწარმოებს ეშმაკი და თქვენ განუწყვეტლივ იცვლებით ამ სამყაროში, სადაც უცვლელი და მარადიული მარტოოდენ სულია!

(პაუზა)

შავბნელ და უძირო ზღვაში დატყვევებულმა არსებამ, მე არ ვიცი, სადა ვარ და რა მომელის. ერთადერთი რაც ვიცი, ისაა, რომ ეშმაკთან — მატერიალურ ძალთა ამ საწყისთან — დაუნდობელ ბრძოლაში მე უნდა გავიმარჯვო და მხოლოდ ამის შემდეგ მატერია და სული ჰარმონიულად შეერწყმიან ერთმანეთს და მსოფლიო ნებელობის ბატონობა დამყარდება ქვეყნად! მაგრამ ეს მოხდება მაშინ, როცა თანდათანობით, მრავალი და მრავალი საუკუნის შემდეგ მთვარეც, ნათელი სირიუსიც და მიწაც მტვრად იქცევიან... მანამდე კი — შიში და ძრწოლა, შიში და ძრწოლა...

(პაუზა. ტბის ფონზე ორი წითელი წერტილი აენთება).

აი, ჩემი ძლევამოსილი მეტოქეც მიახლოვდება... მე ვხედავ მის საშინელ, დასისხლიანებულ თვალებს...

არკადინა. გოგირდის სუნია. ეს საჭიროა?

ტრეპლევი. დედა!

არკადინა. (იცინის) ეფექტურია.

ტრეპლევი. დედა!

ნინა. მას მოსწყინდა უადამიანოდ ყოფნა...

პოლინა ანდრეევნა. (დორნს) ქუდი დაიხურეთ, გაცივდებით.

არკადინა. ექიმმა ქუდი ეშმაკს მოუხადა — მუდმივი მატერიის მშობელს.

ტრეპლევი. (გაბრაზებული, ხმამაღლა) წარმოდგენა დამთავრებულია! დახურეთ ფარდა!

არკადინა. რა მოგივიდა, რამ გაგაბრაზა?

ტრეპლევი. ფარდა-მეთქი! წარმოდგენა დამთავრებულია! (ფეხებს აბაკუნებს) ფარდა! (ფარდა დაიხურება) ბოდიშს ვიხდი ქალბატონო, მე მხედველობიდან გამომრჩა, რომ პიესების წერა და წარმოდგენების დადგმა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია! მაპატიეთ მონოპოლიის დარღვევისათვის... მე... მე... (კიდევ რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ ხელს ჩაიქნევს და აჩქარებული გადის).

არკადინა. რა მოუვიდა?

სორინი. ირინა, გეთაყვა, ახალგაზრდა კაცია, თავმოყვარე... ასე არ იქნება.

არკადინა. ისეთი რა ვუთხარი?

სორინი. აწყენინე.

არკადინა. აკი თვითონვე წინასწარ განაცხადა, ხუმრობააო. მეც ხუმრობად ჩავთვალე ეს წარმოდგენა.

სორინი. ზედმეტი მოგივიდა.

არკადინა. მაშ, გამოდის, გენიალური ნაწარმოები დაუწერია? უყურე შენ! თურმე იმისთვის გამართა ეს სპექტაკლი და გოგირდის სუნით ამოგვახრჩო ყველანი, რომ ეჩვენებინა ჩვენთვის... დიახ, ესწავლებინა ჩვენთვის, როგორ უნდა პიესების წერა და რა უნდა დაიდგას სცენაზე? არა, ბატონებო, ეს უკვე მოსაბეზრებელი ხდება.

სორინი. რაა მოსაბეზრებელი?

არკადინა. რა და მისი გაუთავებელი გამოხდომები, ღვარძლიანი რეპლიკები, დამცინავი კილო... პირდაპირ აუტანელი გახდა ეს ბავშვი!

სორინი. მას უნდოდა ესიამოვნებინა შენთვის.

არკადინა. ეგრე გგონია? მაშინ დაედგა ჩვეულებრივი პიესა. რაღას გამოგვიჭედა ყურები ამ დეკადენტური აბდაუბდით. კი ბატონო, თუ ხუმრობაა, მე მზად ვარ აბდაუბდაც მოვისმინო, მაგრამ იგი თურმე სიახლის პრეტენზიას აცხადებს! ახალი ეპოქის დაწყება უნდა ხელოვნებაში!.. ეს უკვე მეტისმეტია!

ტრიგორინი. ყველა ადამიანი ისე წერს, როგორც მას უნდა, ან როგორც შეუძლია.

არკადინა. ჰოდა, წეროს როგორც უნდა და როგორც შეუძლია, ოღონდ მე თავი გამანებოს.

დორნი. „იუპიტერო, შენ ბრაზობ...“

არკადინა. მე იუპიტერი არა ვარ, ქალი ვარ! (პაპიროსს გააბოლებს) სხვათა შორის, სულაც არ ვბრაზობ. უბრალოდ მწყინს, რომ ახალგაზრდა კაცი დროს ასე სულელურად ატარებს! სულ არ მინდოდა მისი განაწყენება.

მედვედენკო. მატერიისა და სულის გათიშვა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, რადგან სული, შესაძლოა, მატერიალური ატომების ერთობლიობაა... (მოულოდნელად ტრიგორინს) საინტერესო იქნებოდა, ვინმეს მასწავლებელთა ცხოვრებაზე პიესა რომ დაეწერა და შემდეგ სცენაზეც დაედგა... მძიმეა, მძიმე ჩვენი ცხოვრება!

არკადინა. სწორი ხართ, მაგრამ პიესებზე და ატომებზე ნუღარ ვილაპარაკებთ, მშვენიერი საღამოა! გესმით, ბატონებო, მღერიან. (მიაყურადებს) რა კარგია!

პოლინა ანდრეევნა. გაღმა მღერიან.

(პაუზა)

არკადინა. (ტრიგორინს) აქ მოდით, ახლო დამიჯექით... ათითხუთმეტი წლის წინათ, ამ ტბის გაღმა-გამოღმა, ყოველ საღამოს მუსიკა და სიმღერები ისმოდა. ირგვლივ რაც მიწებია, სულ ექვს მემამულეს ეკუთვნოდა. მახსოვს სიცილი, დროსტარება, თამაში და რომანები, გაუთავებელი რომანები... ექვსივე მამულში, აღიარებულ პირველ კაცად და ადგილობრივი ქალების კერპად აი, ეს ვაჟბატონი (დორნზე მიუთითებს) ექიმი ევგენი სერგეევიჩი ითვლებოდა... ახლაც არა უშავს, მაშინ კი პირდაპირ შეუდარებელი იყო. (პაუზა) სინდისი მქენჯნის, საწყალ ბიჭს რომ ვაწყენინე... სად წავიდა ნეტავ? (ხმამაღლა) კოსტია! შვილო, კოსტია!

მაშა. წავალ, მოვძებნი. (კულისებისაკენ მიდის) კონსტანტინ გავრილოვიჩ! აუუ! სად ხართ? (გადის).

ნინა. (ესტრადის მხრიდან შემოდის) — ეტყობა, წარმოდგენა დამთავრებულია, შემიძლია გამოვიდე. გამარჯობათ! (კოცნის არკადინას და პოლინა ანდრეევნას).

სორინი. ბრავო! ბრავო!

არკადინა. მართლაც, ბრავო! ძალზე გვასიამოვნეთ, საყვარელო! თქვენისთანა ლამაზი ქალიშვილი, ასეთი მშვენიერი ხმის პატრონი... ცოდვაა, ცოდვა, სოფელში რომ ცხოვრობთ! თქვენ ალბად ნიჭიცა გაქვთ. გესმით ეს? თქვენ ვალდებული ხართ სცენას ემსახუროთ.

ნინა. ო, ეს ჩემი ოცნებაა! (ამოიოხრებს) სამწუხაროდ, იგი ვერ განხორციელდება.

არკადინა. ვინ იცის? ნება მომეცით წარმოგიდგინოთ: ტრიგორინი, ბორის ალექსეევიჩი.

ნინა. ძლიერ მოხარული ვარ... (დაიმორცხვებს) მე თქვენს წიგნებს სიამოვნებით ვკითხულობ...

არკადინა. (გვერდით მოისვამს ნინას) ნუ მორცხვობთ, საყვარელო. განთქმული მწერალია, მაგრამ უბრალო კაცია... ხედავთ, მანაც დაიმორცხვა.

დორნი. მე მგონი ფარდა უნდა აიწიოს, ჩამობნელდა.

შამრაევი. (ხმამაღლა) იაკობ, ფარდა ასწიეთ! (ფარდა აიწევა).

ნინა. (ტრიგორინს) უცნაური პიესაა, არა?

ტრიგორინი. სიმართლე გითხრათ, ვერაფერი გავიგე. თუმცა, სიამოვნებით კი ვუყურებდი. განსაკუთრებით თქვენმა გულწრფელობამ მომხიბლა. დეკორაციაც კარგი იყო. (პაუზა) ამ ტბაში ბევრი თევზი უნდა იყოს.

ნინა. დიახ.

ტრიგორინი. მიყვარს თევზაობა. ანკესით ხელში ნაპირზე ჯდომა ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა.

ნინა. მე მგონი, ვისაც შემოქმედებითი სიამოვნება განუცდია, მისთვის სხვა სიამოვნება არ უნდა არსებობდეს.

არკადინა. (სიცილით) ეგ არ უნდა გეთქვათ. ბორის ალექსეევიჩი წუხს, როცა აქებენ.

შამრაევი. მახსოვს, ერთხელ, მოსკოვში, ოპერის თეატრში განთქმულმა სილვამ დაბალი „დო“ აიღო. ამ დროს ვიღაც ახმახმა, — საეკლესიო გუნდიდან იყო მგონი, ისეთი ხმა ჰქონდა, სულ კედლებს აზანზარებდა, — ომახიანად დაიძახა: „ბრავო, სილვაო!“ — და წარმოიდგინეთ, მთელი ოქტავით დაბლა აიღო, აი, ასე... (დაბალი ბანით) „ბრავო, სილვააა!“... დარბაზი გაოცებისაგან პირდაპირ გაშრა.

(პაუზა)

დორნი. სიჩუმის ანგელოზმა გადაიფრინა.

ნინა. ჩემი დროც ამოიწურა. მშვიდობით.

არკადინა. მოიცათ, საყვარელო, ჯერ ადრეა. არსად გაგიშვებთ.

ნინა. მამა მიცდის.

არკადინა. რა კაცია მამათქვენი! (კოცნიან ერთმანეთს) ძალზე მწყინს, რომ მიდიხართ.

ნინა. თვითონაც არ მინდა წასვლა, მაგრამ რა ვქნა.

არკადინა. იქნებ გაგაცილოთ ვინმემ, ძვირფასო?

ნინა. (შეშფოთებით) არა, არა.

სორინი. (მუდარით) დარჩით, ცოტა ხანს.

ნინა. არ შემიძლია, პიოტრ ნიკოლაევიჩ.

სორინი. ერთი საათით, ძამიკო! მხოლოდ ერთი საათით... რა მოხდება?

ნინა. (დაფიქრდება. ცრემლნარევი ხმით) არა, არ შეიძლება! (ხელს ჩამოართმევს და სწრაფად გადის).

არკადინა. უბედური გოგოა... ამბობენ, განსვენებულმა დედამისმა. მთელი თავისი ქონება და ფული ქმარს დაუტოვა. ახლა კი ეს ბავშვი ცარიელ-ტარიელი დარჩა, რადგან მამამისმა ყველაფერი თავის მეორე ცოლს უანდერძა... აღმაშფოთებელია!

დორნი. კაი პირუტყვია მამამისი, მაგას ვერ წაართმევ.

სორინი. (ხელების ფშვნეტით) ჩვენც გავწიოთ, ბატონებო! აგრილდა, მუხლებში მტეხავს.

არკადინა. წამო, შე ბებერო, წავიდეთ, სანამ სულმთლად არ დაშლილხარ! (ხელს გაუწვდის) მომკიდე ხელი!

შამრაევი. (ცოლს ხელკავს შესთავაზებს) მადამ!

სორინი. ისევ ღმუის ის სამგლე! (შამრაევს) ილია აფანასიევიჩ, ძამიკო, უბრძანეთ ძაღლი აუშვან.

შამრაევი. არ იქნება, პიოტრ ნიკოლაევიჩ. ქურდები ბეღელს გამიტეხავენ, იქ კი ფეტვი მაქვს შენახული... (მედვედენკოს, რომელიც გვერდით მოჰყვება) წარმოგიდგენიათ, მთელი ერთი ოქტავით დაბლა აიღო: „ბრავო, სილვაო!“ თან მომღერალი კი არ იყო, ჩვეულებრივი საეკლესიო მგალობელი.

მედვედენკო. საინტერესოა, რა ხელფასი აქვთ ეკლესიის მგალობლებს? (ყველანი გადიან დორნის გარდა).

დორნი. (მარტო) იქნებ არაფერი გამეგება, ან ჭკუიდან შევიშალე, მაგრამ პიესა მომეწონა. რაღაც არი მასში... სიმარტოვეზე რომ ლაპარაკობდა ის გოგო და ამ დროს ეშმაკის თვალები გამოჩნდა, სულ თითები მიკანკალებდა, ისე ვღელავდი... გულუბრყვილობამ მომხიბლა... სიახლემაც... აგერ, ავტორიც მოდის. ერთ-ორ ტკბილ სიტყვას ვეტყვი, გავახარებ.

ტრეპლევი. (შემოდის) არავინაა.

დორნი. მე ვარ.

ტრეპლევი. ის გადარეული მაშენკა დამეძებს, ყვირილით აიკლო აქაურობა. რა აუტანელი ქალია!

დორნი. კონსტანტინ გავრილოვიჩ, მე ძლიერ მომეწონა თქვენი პიესა. მართალია, ცოტა უცნაურია, დასასრულიც ვერ მოვისმინე, მაგრამ მაინც დიდი შთაბეჭდილება დატოვა. თქვენ ნიჭიერი კაცი ხართ და ასევე უნდა განაგრძოთ.

(ტრეპლევი მაგრად ჩამოართმევს ხელს, ჩაეხუტება).

რა ნერვიულია, ცრემლიც კი მოადგა თვალზე... ჰოდა, იმას გეუბნებოდით... პიესის სიუჟეტი განყენებულ იდეაზეა აგებული, რაც ჩემი აზრით, სავსებით სწორია, რადგან მხატვრული ნაწარმოები აუცილებლად რაიმე დიდ აზრს უნდა გამოხატავდეს. მშვენიერი მხოლოდ ის არის, რაც სერიოზულია! როგორ გაფითრდით.

ტრეპლევი. მაშ, თქვენ ფიქრობთ, უნდა გავაგრძელო?

დორნი. დიახ... ყოველთვის იმაზე წერეთ, რაც მნიშვნელოვანი და მარადიულია. თქვენ იცით, ჩემი ცხოვრება მრავალფეროვანი იყო და კარგადაც გავატარე დრო, მაგრამ მხატვარი რომ ვყოფილიყავი და ერთხელ მაინც განმეცადა შემოქმედებითი მღელვარება, მე მგონი, სამუდამოდ ჩამოვიშორებდი ჩემს მატერიალურ ჩენჩოს, მოვწყდებოდი მიწას და ცაში გავიხავარდებდი.

ტრეპლევი. ბოდიში, ზარეჩნაია არ გინახავთ?

დორნი. ერთი რამ მინდა კიდევ გითხრათ. ნაწარმოებში აუცილებლად უნდა იყოს ნათელი, გარკვეული აზრი. თქვენ უნდა იცოდეთ, რისთვის წერთ, რადგან გარკვეული აზრის გარეშე, მარტო შემოქმედების ხატოვან გზას თუ გაჰყევით, დაიკარგებით და თქვენივე ნიჭი დაგღუპავთ.

ტრეპლევი. (მოუთმენლად) ზარეჩნაია სად არის?

დორნი. შინ წავიდა.

ტრეპლევი. (სასოწარკვეთილი) ღმერთო ჩემო, აუცილებლად უნდა ვნახო... დღესვე... წავალ მე.

დორნი. (ტრეპლევს) დამშვიდდით, მეგობარო.

ტრეპლევი. არა, აუცილებლად უნდა წავიდე... (შემოდის მაშა).

მაშა. კონსტანტინ გავრილოვიჩ, დედათქვენი გეძახით, იგი ღელავს.

ტრეპლევი. უთხარით, წავიდა-თქო! დამანებეთ თავი! მე დაგეჯითებით გთხოვთ თავი დამანებოთ! დიახ, დიახ! მომეშვით და თავი დამანებეთ! კუდში ნუ დამდევთ!

დორნი. წყნარად, წყნარად, ძვირფასო... არ იქნება ასე... აბა, დამშვიდდით. როგორ შეიძლება ასე?

ტრეპლევი. (თვალცრემლიანად) მშვიდობით, ექიმო. მადლობელი ვარ თქვენი. (გადის).

დორნი. ეხ, ახალგაზრდობავ, ახალგაზრდობავ!

მაშა. სათქმელი რომ გამოელევათ, „ეჰ, ახალგაზრდობაო" — იტყვიან ხოლმე. (ბურნუთს ყნოსავს).

დორნი. (სათუთუნეს გამოგლეჯს და ბუჩქებში მოისვრის) მოეშვით ამ სისაძაგლეს! (პაუზა) სახლში ფორტეპიანოს უკრავენ. წავიდეთ!

მაშა. მოიცათ.

დორნი. რა იყო?

მაშა. ერთი წუთით მოიცადეთ, თქვენთან ლაპარაკი მსურს... (ღელავს) არ ვიცი, როგორ გითხრათ, რით დავიწყო. აი, მამაჩემი, მაგალითად, ჩემი მშობელია, მაგრამ არ მიყვარს, თქვენსკენ კი გული მომიწევს. რატომღაც მგონია, ჩემი ყველაზე ახლობელი ადამიანი ხართ... ჰოდა, დამეხმარეთ... მეშინია სისულელე არ ჩავიდინო და თავი არ შევირცხვინო... აღარ შემიძლია მეტი...

დორნი. რაშია საქმე?

მაშა. დავიტანჯე... არავინ იცის რა დღეში ვარ! (თავით მკერდზე მიეყრდნობა, ხმადაბლა) მე კონსტანტინ გავრილოვიჩი მიყვარს.

დორნი. რა ნერვიული ხალხია, ღმერთო, სად გაგონილა ამდენი სიყვარული? ო, ეს ჯადოსნური ტბა! (ნაზად) აბა, რა შემიძლია, მაშა? რა ვქნა? რით დაგეხმაროთ?

ფარდა

## მოქმედება მეორე

შუადღეა, ცხელა. სცენის სიღრმეში ძველებური აივნიანი სახლი მოჩანს, სახლის წინ ყვავილნარია. მარცხნივ — მზით განათებული ტბა გაშლილა, მარჯვნივ — კროკეტის სათამაშო მოედანია, რომლის გასწვრივ მერხებია ჩაყოლებული. ერთ-ერთ მერხზე ბებერი ცაცხვის ჩრდილში არკადინა, დორნი და მაშა სხედან. დორნს მუხლებზე გაშლილი წიგნი უდევს.

არკადინა. (მაშას) აბა, ავდგეთ ერთი წუთით... (ორივენი დგებიან) გვერდით მომიდექით... თქვენ 22 წლისა ხართ, მე თქვენზე ორჯერ უფროსი ვარ... ევგენი სერგეევიჩ, ვინ უფრო ახალგაზრდად გამოიყურება?

დორნი. თქვენ, რასაკვირველია.

არკადინა. ხედავთ? რატომ, თუ იცით? იმიტომ, რომ მე ვშრომობ, სულ მუდამ რაღაცას განვიცდი, მოძრაობაში ვარ. თქვენ კი ერთ ადგილზე ზიხართ, არ ცხოვრობთ... ერთი ჩვეულებაც მაქვს — მომავლისაკენ არასოდეს არ ვიხედები. არც სიბერეზე ვფიქრობ, არც სიკვდილზე. რაც მოსახდენია, მაინც მოხდება.

მაშა. მე კი ისეთი გრძნობა მაქვს, თითქო დიდი-დიდი ხნის წინათ დავიბადე და ჩემ ცხოვრებას უსასრულოდ გრძელი კაბის კუდივით მივათრევ. ხშირად სულ არ მინდა სიცოცხლე. (ჯდება) ეს სისულელეა, რასაკვირველია. ერთი უნდა შევახჯლრიო ჩემი თავი და სიზარმაცე ჩამოვიცილო.

დორნი. (ღიღინებს) **„Расскажите вы ей, цветы мои"**...

არკადინა. გარდა ამისა, ინგლისელივით კერპი ხასიათი მაქვს. გასაქანს არ ვაძლევ ჩემ თავს! არავითარი შეღავათი! ყოველთვის სუფთად ჩაცმული და დავარცხნილი დავიარები, „კომილფო", როგორც იტყვიან! სახლიდან ფეხს არ გავდგამ, უბრალოდ ბაღშიც არ გავალ დაჭმუჭნილი კაბითა და გაუწმენდავი ფეხსაცმლით. იმიტომაც ასე კარგად გამოვიყურები, მიუხედავად ჩემი ასაკისა. ზოგიერთ ჩანჩურასავით კი არ ვარ, აჩაჩულ-დაჩაჩულები რომ დაიარებიან... (დოინჯს შემოიყრის და გაივლ-გამოივლის) აბა, მიყურეთ! თუ საჭიროა თხუთმეტი წლის გოგოს როლსაც ვითამაშებ სცენაზე, მაშ!

დორნი. თუ ნებას მომცემთ, განვაგრძობ... (წიგნს მოიმარჯვებს) ფქვილის ვაჭრებზე და ვირთხებზე შევჩერდით...

არკადინა. ვირთხებზე, დიახ... განაგრძეთ (ჯდება) ან მომეცით, მე წავიკითხავ. ჩემი ჯერია. (გამოართმევს წიგნს და მონიშნებულ ადგილს ეძებს) აი, ის ადგილიც... (კითხულობს) „...და, რასაკვირველია, მაღალ საზოგადოებაში გამოსულ ქალთათვის რომანისტებთან დაახლოება ისევე სახიფათოა, როგორც ფქვილით მოვაჭრეთათვის ბეღელში ვირთხების შემოჩვევა და მათი მოშინაურება... მიუხედავად ამისა, ქალებს მაინც უყვართ რომანისტები. მაშ ასე, ამოირჩევს რა დედაკაცი მწერალს, ვისთანაც დაახლოვება სურს, იგი შეტევაზე გადადის და თავს ესხმის მას ლაქუცით, ქათინაურებით, ზრდილობიანი მოპყრობით, — ერთი სიტყვით, ყურადღების გამოჩენის ყველა არსებული საშუალებით..." არა, გეთაყვა, ეს საფრანგეთშია, ჩვენში ასე არ ხდება. არავითარი წინასწარი პროგრამა! ჩვენში ქალი, სანამ მწერალს ხელში ჩაიგდებდეს, წინასწარ უკვე მასზე შეყვარებულია! რაღა შორს წავიდეთ, ჩემი და ტრიგორინის ამბავი აიღეთ...

(შემოდიან ნინა და ყავარჯნიანი სორინი. მათ მედვედენკო მოყვება, რომელიც თვლებზე შემდგარ სავარძელს მოაგორებს).

სორინი. (ენამოჩლექით, თითქოს ბავშვს ელაპარაკებაო) მაშ, დღეს ჩვენ კარგ გუნებაზე ვართ? გვიხარია? (არკადინას) ირინა, ჩვენ დღეს კარგ გუნებაზე ვეოფილვართ. მამა და დედინაცვალი ტვერში გავისტუმრეთ და სამი დღით თავისუფლება მოვიპოვეთ.

ნინა. (არკადინას მიუჯდება და გულში ჩაეკრობა) რა ბედნიერი ვარ! ახლა მთლიანად თქვენ გეკუთვნით.

სორინი. (სავარძელში ჩაეშვება, არკადინას) შეხედე, შეხედე, როგორ გალამაზებულა!

არკადინა. გალამაზებულა და მორთულა კიდეც... ჭკვიანი გოგონა ხარ! (კოცნის ნინას) ოღონდ, ზედმეტად ნუ შეაქებთ, თვალი არ ეცეს. ბორის ალექსეევიჩი სადღაა?

ნინა. ტბაზე თევზაობს.

არკადინა. ნუთუ არ მობეზრდა. (კითხვის გაგრძელებას აპირებს).

ნინა. რას კითხულობთ?

არკადინა. მოპასანის მოთხრობაა, საყვარელო, „წყლის პირას"... (რამდენიმე სტრიქონს ჩუმად ჩაიკითხავს) გაგრძელება არ ღირს. იქით მოსაწყენია და სწორიც არ არის. (წიგნს დახურავს) რაღაცა მაწუხებს. პირდაპირ არ ვიცი, რა მოსდის ჩემ შვილს? სულ დაღვრემილია და გაღიზიანებული.

მაშა. იმასაც რაღაც აწუხებს. (ნანას გაუბედავად) თქვენ ხომ მისი პიესა ზეპირად იცით, წაიკითხეთ ნაწყვეტი, გთხოვთ.

ნინა. (მხრებს აიჩეჩავს) მართლა გინდათ? საინტერესო არ არის.

მაშა. (შეკავებული აღტაცებით) თვითონ თავის დაწერილს რომ კითხულობს, თვალები უბრწყინავს და საოცრად ფითრდება ხოლმე! გადასარევი ხმა აქვს, სევდიანი... გარეგნობით კი, ნამდვილი პოეტია.

(სორინი ხვრინვას ამოუშვებს).

დორნი. ძილი ნებისა.

არკადინა. პეტრუშა!

სორინი. (თვალებს გაახელს) რა?

არკადინა. გძინავს?

სორინი. არაფერიც.

(პაუზა)

არკადინა. ცუდია, ძმაო, რომ არ მკურნალობ.

სორინი. სიამოვნებით ვიმკურნალებდი, მაგრამ აი, ექიმი უარზეა.

დორნი. სად გაგონილა 60 წლის კაცის მკურნალობა.

სორინი. 60 წლის კაცსაც უნდა სიცოცხლე.

დორნი. (გაბეზრებული ხმით) კარგი, ბატონო, ვალერიანის წვეთები დალიეთ.

არკადინა. მე მგონი, მისთვის ურიგო არ იქნებოდა სადმე კურორტზე წასვლა. მინერალურ წყლებზე, მაგალითად...

დორნი. შეიძლება, რასაკვირველია. წავიდეს, თუ უნდა... არ უნდა და ნუ წავა.

არკადინა. მიდი და გაიგე რას ამბობს ეს კაცი!

დორნი. გაუგებარი რა არის? ყველაფერი გასაგებია.

(პაუზა).

მედვედენკო. პიოტრ ნიკოლაევიჩმა თამბაქოს უნდა გაანებოს თავი.

სორინი. სისულელეა.

დორნი. არავითარი სისულელე! ღვინის სმასა და თამბაქოს წევას ადამიანის გაუპიროვნება მოჰყვება. ყოველი ჭიქა არყისა და მოწეული სიგარის შემდეგ თქვენ უკვე პიოტრ ნიკოლაევიჩი კი არა ხართ, არამედ პიოტრ ნიკოლაევიჩი პლუს კიდევ ვიღაცა სხვა. თქვენი „მე" თავის პიროვნულ ელფერს კარგავს და თქვენ უკვე საკუთარ თავს ისე აღიქვამთ, როგორც მესამე პირს, გარეშე ადამიანს — ვინმე „იმას"...

სორინი. (იცინის) რა ადვილად მსჯელობთ! რა გიჭირთ, ძამიკო, მთელი თქვენი დღე და მოსწრება სიამოვნებით დროს ატარებდით; მე კი 28 წელი სასამართლო უწყებაში ვმსახურობდი და ხეირიანად არც მიცხოვრია, არაფერი მინახავს და არაფერი განმიცდია; ამიტომაც მინდა სიცოცხლე! თქვენ მაძღარი და გულგრილი კაცი ხართ და იმიტომ ფილოსოფოსობთ. მე კი ნამდვილ ცხოვრებას მოწყურებული ვარ და რა გასაკვირია, თუ ღვინოსაცა ვსვამ და თამბაქოსაც ვეწევი... ასეა, ძამიკო!

დორნი. ცხოვრებას სერიოზულად უნდა მოეპყრათ... რაც შეეხება მკურნალობას 60 წლის ასაკში, ანდა სინანულს იმის გამო, რომ ახალგაზრდობაში ცოტა გისიამოვნიათ, ეს, მაპატიეთ, სიცერცეტეა და ქარაფშუტობა.

მაშა. (წამოდგება) საუზმის დროა ალბათ... (მიდის ზანტად, მოთენთილად) ფეხი დამიბუჟდა... (გადის).

დორნი. წავა ახლა და საუზმის წინ არაყს გადაკრავს.

სორინი. პირადი ბედნიერება აკლია, საწყალს.

დორნი. სისულელეა, თქვენო აღმატებულებავ.

სორინი. ისევ მაძღარი ადამიანივით მსჯელობთ.

არკადინა. ღმერთო ჩემო, რა შეიძლება იყოს ამ სოფლურ მოწყენილობაზე უფრო მოსაწყენი?! სიცხე, სიჩუმე... არავინ არაფერს არ აკეთებს, ყველანი ფილოსოფოსობენ... კარგია, მეგობრებო თქვენთან ყოფნა, თქვენი მოსმენა, მაგრამ მაინც უკეთესია ახლა სადმე სასტუმროს ნომერში იჯდე შენთვის და ახალ როლს იზეპირებდე.

ნინა. (აღფრთოვანებული) კარგია, მართლა კარგია! ო, როგორ მესმის...

სორინი. ცხადია, ქალაქში უკეთესია. ზიხარ შენს კაბინეტში, ლაქია მოუხსენებლად არავის უშვებს შენთან, ტელეფონიც იქვეა... გარეთ კი მეეტლე გელოდება და ასე შემდეგ... ეჰ! (ამოიოხრებს).

დორნი. (ღიღინებს) **„Расскажите вы ей, цветы мои"...**

(შემოდიან შამრაევი და პოლინა ანდრეევნა).

შამრაევი. ყველანი აქ ყოფილან... გამარჯობათ, ბატონებო! (ხელზე კოცნის ჯერ არკადინას, მერე ნინას) როგორ გიკითხოთ, ხომ კარგად ბრძანდებით? მოხარული ვარ. (არკადინას) ჩემმა მეუღლემ მითხრა, ქალაქში გადაგიწყვეტიათ წასვლა. მართალია?

არკადინა. დიახ, ვაპირებთ.

შამრაევი. ჰმ... ჩინებულია, დიდად პატივცემულო, მაგრამ რით აპირებთ გამგზავრებას? ჩვენ დღეს მინდვრებიდან ჭვავს ვეზიდებით და გლეხები დაკავებული არიან... მაინც, რომელი ცხენებით აპირებდით წასვლას?

არკადინა. აბა რა ვიცი, ეგ თქვენ უნდა იცოდეთ.

სორინი. ეტლში შესაბმელი ცხენები ხომ გვყავს?

შამრაევი. (აღელვებული) მერე, რომ გვყავს? ცალუღლები სადღა მოგინახოთ? გვაქვს ცალუღლები, მე თქვენ გეკითხებით? არა! გადასარევია, ღმერთმანი! პირდაპირ შეიშლება კაცი! მაპატიეთ, დიდად პატივცემულო, თქვენი ნიჭის წინაშე მე, რასაკვირველია, ქედს ვიხრი, მზად ვარ ათი წელი სიცოცხლე შემოგწიროთ, მაგრამ ცხენებს ვერ მოგართმევთ.

არკადინა. კი მაგრამ, წასასვლელი რომ ვარ? უცნაური ამბავია.

შამრაევი. დიდად პატივცემულო, თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ, რა არის მეურნეობა.

არკადინა. (აფეთქდება) ვიცი, არაერთხელ მომისმენია!.. თუ ასეა, მე დღესვე მივემგზავრები მოსკოვს! ახლავე გაეცით განკარგულება სოფელში ცხენები იქირავონ, თორემ სადგურში ფეხით წავალ! გესმით, რას ვამბობ?

შამრაევი. (გულმოსული) კეთილი, ბატონო! მაშინ მეც უარს ვამბობ თქვენს სამსახურზე! ვინც გინდათ მონახეთ და იმას უპატრონოს თქვენს მამულს! (გადის).

არკადინა. ყოველთვის ერთი და იგივე! ყოველ ზაფხულს აქ შეურაცხყოფას მაყენებენ! ფეხი გამიხმეს, თუ კიდევ აქ ჩამოვიდე! (მიდის ტბის მიმართულებით. ცოტა ხნის შემდეგ ბრუნდება და სახლში შედის. მას ტრიგორინი მოჰყვება ანკესებით და ვედროთი ხელში).

სორინი. (აღელვებული) ეს თავხედობაა! ეშმაკმა იცის, რა ხდება! ბოლოს და ბოლოს, ყოველგვარ მოთმინებასაც საზღვარი აქვს. ამ წუთში გააჩინონ ცხენები!

ნინა. (პოლინა ანდრეევნას) ირინა ნიკოლაევნას უარი როგორ უთხრეს, ის ხომ გამოჩენილი მსახიობია? განა თვითეული მისი სურვილი, თუნდაც უბრალო კაპრიზი, ყველა ჩვენგანისათვის კანონი არ უნდა იყოს?! რა შუაშია თქვენი მეურნეობა? არა, ეს დაუჯერებელია!

პოლინა ანდრეევნა. მე რა ვქნა, ძვირფასო? შედით ჩემს მდგომარეობაში, მე რა შემიძლია?

სორინი. (ნინას) წავიდეთ დასთან... ვთხოვოთ, დარჩეს. სუყველამ ვთხოვოთ, კარგი? (იქით იხედება საითაც შამრაევი წავიდა) აუტანელი ვიღაცაა! პირდაპირ დესპოტია!

ნინა. (ადგომას არ აცლის) იჯექით, იჯექით... ჩვენ წაგიყვანთ. (ნინა და მედვედენკო სავარძელს მიაგორებენ) რა საშინელებაა, ღმერთო ჩემო.

სორინი. მართლაც საშინელებაა... ყოვლად წარმოუდგენელი ამბავია... რა თქვა: სხვა მონახეთო?.. არსადაც არ წავა, ეხლავე მოველაპარაკები და ყველაფერს გავარკვევთ.

(გადიან. სცენაზე დორნი და პოლინა ანდრეევნა რჩებიან).

დორნი. რა მოსაწყენი ხალხია! წესით, ახლა თქვენი ქმარი კინწისკვრით უნდა გაეგდოთ. სინამდვილეში კი რა მოხდება, თუ იცით? ის ბებერი ქალაჩუნა პიოტრ ნიკოლაევიჩი და მისი დაიკო ბოდიშს მოუხდიან თქვენს მეუღლეს და ამით გა-

თავდება ყველაფერი! აი, ნახავთ!

პოლინა ანდრეევნა. ცხენები მართლა არა ჰყავს, ყველა მინდორშია გაშვებული... დასწყევლოს ღმერთმა, ყოველდღე ასეთი გაუგებრობა ხდება! ვერ წარმოიდგენთ, როგორ მაწუხებს ეს ამბავი, ლამის გავგიჟდე!.. აი, ხედავთ, ხელები მიკანკალებს! ხეპრეა ჩემი მეუღლე, უხეში, მე კი უხამსობას ვერ ვიტან... (მუდარით) ევგენი, საყვარელო, წამიყვანეთ აქედან, გემუდარებით... დრო გადის, ჩვენ უკვე ახალგაზრდები აღარ ვართ... სიბერეში მაინც ვიყოთ ერთად, ნუღარ მოვატყუებთ ნურც ჩვენს თავს, ნურც სხვებს.

(პაუზა).

დორნი. მე 55 წლის ვარ, გვიანია ჩემთვის ახალი ცხოვრების დაწყება.

პოლინა ანდრეევნა. უარს იმიტომ მეუბნებით, რომ ჩემს გარდა სხვა ქალებიც გყავთ? ვიცი, განა არ ვიცი! ყველასთან ერთად ხომ ვერ იცხოვრებთ... მე მესმის. მაპატიეთ, თავი მოგაბეზრეთ. (სახლის წინ გამოჩნდება ნინა, ყვავილებს კრეფს).

დორნი. არა უშავს.

პოლინა ანდრეევნა. ეჭვიანობისგან ლამის გავგიჟდე. თქვენ ექიმი ხართ და, რასაკვირველია, ქალებს ვერ მოერიდებით... მე მესმის.

დორნი. (ნინას მიუახლოვდება) როგორაა იქ საქმე?

ნინა. ირინა ნიკოლაევნა ტირის, პიოტრ ნიკოლაევიჩს კი გულის ფრიალი დაეწყო.

დორნი. (ადგება) წავალ, ორთავეს ვალერიანის წვეთებს დავალევინებ.

ნინა. (თაიგულს გაუწვდის) ინებეთ.

დორნი. მერსი ბიენ! (სახლისკენ მიდის).

პოლინა ანდრეევნა. (დაეწევა) რა ლამაზი თაიგულია! (სახლთან მიახლოვებისას, ჩუმად, გაბოროტებით) მომეცით ეგ ყვავილები! მომეცით-მეთქი! (ხელიდან გამოგლეჯს თაიგულს და ბუჩქებისაკენ მოისვრის).

(ორივენი სახლში შედიან).

ნინა. (მარტო) რა უცნაურია ცხოვრება! სახელგანთქმული მსახიობი ქალი რაღაც სულელური მიზეზის გამო ტირის და თავს იკლავს. გამოჩენილი მწერალი, ვისაც ყოველდღე გაზეთები ახსენებენ და ვისი წიგნებიც უცხო ენებზე ითარგმნება, დილიდან დაღამებამდე თევზაობით არის გართული და ბედნიერად თვლის თავს, თუ ორიოდე ჭიჭყინა დაიჭირა!.. მე მეგონა გამოჩენილი ადამიანები მედიდურნი და მიუკარებელი არიან. მე მეგონა მათ არაფრად მიაჩნიათ ხალხის სიყვარული და თავიანთი დიდებით, თავისი სახელის ბრწყინვალებით ისინი შურს იძიებენ ბრბოზე, რომელიც ადამიანში მხოლოდ გვარიშვილობას და სიმდიდრეს აფასებს. ასე არ ყოფილა. თურმე დიდი ადამიანებიც ჩვეულებრივი მოკვდავებივით ტირიან, თევზაობენ, ბანქოს თამაშობენ, იცინიან და ბრაზობენ ხოლმე...

ტრეპლევი. (შემოდის. უქუდოა, ხელში სანადირო თოფი და მოკლული თოლია უჭირავს) მარტო ხართ?

ნინა. დიახ.

(ტრეპლევი ფეხებთან დაუდებს თოლიას).

ნინა. რა არის ეს?

ტრეპლევი. არამზადობა ჩავიდინე, თოლია მოვკალი... თქვენთვის მომირთმევია.

ნინა. რა მოგდით? (თოლიას ხელში აიღებს, სინანულით დასცქერის).

ტრეპლევი. (პაუზის შემდეგ) მალე ასე თავსაც მოვიკლავ.

ნინა. მე თქვენ ვეღარ გცნობთ.

ტრეპლევი. დიახ... იმის შემდეგ, რაც მე თვითონ მიჭირს თქვენი ცნობა. თქვენ ძალიან გამოიცვალეთ, ნინა. თქვენი მზერა ცივი გახდა და მე ვგრძნობ, ჩემთან ყოფნა აღარ გსიამოვნებთ.

ნინა. ამ ბოლო დროს სულ გაღიზიანებული ხართ, ქარაგმებით ლაპარაკობთ. ალბათ, ეს თოლიაც რაღაცას ნიშნავს? მაპატიეთ, მაგრამ არ მესმის. (თოლიას მერხზე ჩამოდებს) მე უბრალო ადამიანი ვარ, სად შემიძლია თქვენი გაგება.

ტრეპლევი. ეჰ, ნინა... ყველაფერი იმ საღამოს დაიწყო, როცა ჩემი პიესა ასე სამარცხვინოდ ჩაფლავდა... ქალები მარცხს არავის აპატიებენ... დავწვი ის პიესა. დავწვი და გავანადგურე! ო, რომ იცოდეთ, რა უბედური ვარ! თქვენი გულგრილობა მკლავს. ისეთი საშინელი გრძნობა მაქვს, თითქოს უეცრად გამოვეღვიძა და ვხედავ, რომ ეს ტბა აღარ არსებობს, თითქოს იგი მიწამ შთანთქა და შეიწოვა. თქვენ ახლა თქვით, ჩვეულებრივი ადამიანი ვარო და თქვენი გაგება არ შემიძლიაო... რომელ გაგებაზე მელაპარაკებით? უბრალოდ პიესა არ მოგეწონათ და ჩემზე გული აიცრუეთ! უნიჭო კაცად მიგაჩნივართ, არაფრის მაქნისად... ასეთები კი ქვეყნად ბევრია. (ფეხებს აბაკუნებს) ო, რა კარგად მესმის, რა კარგად მესმის ყველაფერი! თითქოს მარწუხი მოუჭირესო ჩემს ტვინს... დასწყევლოს ღმერთმა ჩემი თავი და ჩემი თავმოყვარეობაც, გველივით რომ სისხლსა მწოვს და ჭკუიდან მშლის. (ტრიგორინს დაინახავს, იგი წიგნის კითხვით მათ უახლოვდება) აგერ ისიც, ნიჭიერი კაცი, გენიოსი! ჰამლეტივით მოაბიჯებს... წიგნიც რომ დაუჭერია ხელში?! (გამოჯავრებით) „სიტყვები, სიტყვები, სიტყვები“... მზესავით ანათებს! ჯერ ახლო არ მოსულა თქვენთან და თქვენ უკვე იღიმებით, სახე გიბრწყინავთ. წავალ, ხელს არ შეგიშლით.

(სწრაფად გადის).

ტრიგორინი. (უბის წიგნაკში რაღაცას იწერს) ბურნუთს ყნოსავს და არაყს სვამს... შავ კაბას იცვამს... მასწავლებელი მასზე შეყვარებულია.

ნინა. გამარჯობათ, ბორის ალექსეევიჩ.

ტრიგორინი. გაგიმარჯოთ. იცით, ნინა, მგონი, დღეს მივემგზავრებით. მე და თქვენ ალბათ ვერასოდეს ვერ შევხვდებით, სამწუხაროა... ახალგაზრდა ქალებს იშვიათად ვხვდები ხოლმე და მათზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს: არ ვიცი, რას ფიქრობენ, რას განიცდიან... ამიტომაც ჩემს მოთხრობებში ქალიშვილთა სახეები ჩვეულებრივად ყალბი და არადამაჯერებელია... დიდი სურვილი კი მაქვს, ცოტახნით მაინც თქვენს კანში აღმოვჩნდე, თქვენსავით ახალგაზრდა ქალიშვილად წარმოვიდგინო თავი, რომ გავიგო რას ფიქრობთ, და საერთოდ — რას წარმოადგენთ.

ნინა. მე კი თქვენს კანში ვინატრებდი ყოფნას.

ტრიგორინი. რატომ?

ნინა. მაინტერესებს, როგორ გრძნობს თავს სახელგანთქმული მწერალი... მართლაც საინტერესოა, როგორ განიცდით თქვენს პოპულარობას? აი იმას, რომ თქვენი სახელი ყველას პირზე აკერია...

ტრიგორინი. აბა, რა ვიცი, როგორ... მაგაზე არასდროს მიფიქრია. (წამით ჩაფიქრდა) ორში ერთია: ან გადაჭარბებული წარმოდგენა გაქვთ ჩემს პოპულარობაზე, ანდა ჩემი პოპულარობა სრულებით შეუმჩნეველია ჩემთვის.

ნინა. გაზეთებში რომ კითხულობთ, რასაც თქვენზე წერენ?

ტრიგორინი. თუ მაქებენ, მსიამოვნებს... თუ მაძაგებენ, ერთ-ორ დღეს უგუნებოდ ვარ ხოლმე.

ნინა. საოცარ სამყაროში ცხოვრობთ. როგორ მშურს თქვენი, რომ იცოდეთ... ადამიანთა ხვედრი სხვადასხვანაირია. ერთნი ულიმღამოთ ცხოვრობენ, უფრო სწორედ, არსებობენ, ერთმანეთს გვანან და სუყველანი უბედური არიან... მეორენი კი, თქვენსავით, — ასეთები ცოტაა, მილიონში ერთი თუ გამოერევა! — გამორჩეული არიან, მათი ცხოვრება საინტერესოა, ნათელი და შინაარსიანი... თქვენ ბედნიერი ხართ.

ტრიგორინი. მე? (მხრებს აიჩეჩავს) აი, თქვენ ახლა პოპულარობა ახსენეთ, ნათელ და საინტერესო ცხოვრებაზე ამბობდით. ჩემთვის კი, ეგ სიტყვები, მაპატიეთ, მარმელადივითაა, რომელსაც ვერ ვიტან. ახალგაზრდა ხართ, ნინა, ახალგაზრდა და ძალზე კეთილი.

ნინა. თქვენი ცხოვრება წარმტაცია.

ტრიგორინი. რა არის მასში კარგი? (საათს დახედავს) აი, მე ახლა უნდა წავიდე და ვწერო. მაპატიეთ, არა მცალია... (გაეცინება) თქვენ ახლა ჩემთვის ყველაზე მტკივნეულ საკითხს შეეხეთ, ამაღელვეთ და ცოტა არ იყოს გამაბრაზეთ კიდეც... მოდით, ვისაუბროთ. ჩემს ნათელ და საინტერესო ცხოვრებაზე ვისაუბროთ. რით დავიწყოთ? (ჩაფიქრდება) არსებობს აკვიატებული აზრი, როცა ადამიანი სულ ერთსა და იმავეზე ფიქრობს, ვთქვათ, მთვარეზე... მეცა მაქვს ჩემი „მთვარე“. დღედაღამ ერთი ფიქრი არ მასვენებს. სულ იმას ვფიქრობ, რომ უნდა ვწერო, ვწერო და ვწერო! დავამთავრებ თუ არა ერთ მოთხრობას, იმავე წუთში მეორეს ვიწყებ, მერე მესამეს, მეოთხეს და ასე შემდეგ... სულ ვწერ და ვწერ შეუსვენებლად და

სხვანაირად არ შემიძლია... მითხარით ერთი, რა არის ამაში ნათელი და საინტერესო? ეს ხომ სიგიჟეა, აბსოლუტური სიგიჟე! აი, მე ახლა თქვენთან ვსაუბრობ, თქვენ გიყურებთ, გულში კი იმას ვფიქრობ, რომ შინ, საწერ მაგიდაზე დაუმთავრებელი მოთხრობა მელოდება... ვუყურებ აგერ იმ ღრუბლის ქულას, ფორმით როიალს რომ ჰგავს და ვფიქრობ: მოთხრობაში აუცილებლად უნდა ვახსენო ეს როიალის მსგავსი ღრუბელი! ჩემს გარშემო ყვავილებია, ჰელიოტროპი ყვავის, მე კი იმის მაგივრად რომ დავტკბე ამ სილამაზით, სასწრაფოდ ვიმახსოვრებ ყვავილის ფერსა და სურნელს, რომ სადმე მოთხრობაში, საღამო ხნის აღწერის დროს ვახსენო... გესაუბრებით თქვენ, გისმენთ და თან გაფაციცებით ვიჭერ ყოველ თქვენ სიტყვას, ფრაზას, რომ ჩემს ლიტერატურულ საკუჭნაოში საიმედოდ შევინახო და შემდეგ, როდისმე, საქმეში გამოვიყენო! მუშაობის დამთავრების შემდეგ თეატრში გავრბივარ, ან სათევზაოდ მივდივარ... თქვენ თუ გგონიათ, იქ ვისვენებ? არაფერიც! ჩემთვის დასვენება არ არსებობს. ჩემი ტვინი ზარბაზანივით მუდამ ახალი სიუჟეტის ჭურვითაა დატენილი და მე, წამდაუწუმ საწერი მაგიდისკენ გავრბივარ, რომ ვწერო, ვწერო და ისევ ვწერო!.. ასეა ყოველთვის, ყველგან... ერთი წამითაც არ ვაძლევ ჩემ თავს მოსვენებას.. ზოგჯერ ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს მე თვითონ ვანადგურებ ჩემ ცხოვრებას და იმ წვეთი თაფლისთვის, რომელსაც ვაწვდი ვიღაც უხილავ მკითხველს, არა მარტო მტვერს ვაცლი ჩემ საუკეთესო ყვავილებს, არამედ ძირფესვიანად ვთხრი მათ და ვანადგურებ. გიჟი არა ვარ, მაშ ვინა ვარ? და მართლაც, განა ჩემი ნაცნობები და ახლობლები ისე მექცევიან, როგორც ნორმალურ ადამიანს? „ახალს რას წერთ? რით გაგვახარებთ?“ ერთი და იგივე, სულ ერთი და იგივე! და მე მგონია, ჩემი ნაცნობების ეს ყურადღება და მათი ქათინაურები, სულ თვალთმაქცობაა! ისინი მე მატყუებენ, როგორც ავადმყოფს და ზოგჯერ მეშინია, ვაი თუ მართლა გიჟი ვარ და ერთ მშვენიერ დღეს ეს ჩემი ნაცნობები მომეპარონ უკანიდან, ხელი დამავლონ და, როგორც გოგოლის პოპრიშჩინი, საგიჟეთში მიმაბრძანონ. თქვენ გგონიათ ახალგაზრდა რომ ვიყავი, მაშინ უკეთესად იყო ჩემი საქმე? არაფერიც. მწერლობა ახალგაზრდა კაცისთვის ნამდვილი წამებაა! პატარა მწერალს, მით უფრო თუ მას ბედი არ სწყალობს, თავისი თავი ზედმეტ ადამიანად მიაჩნია. იგი ნერვებაშლილია და გაღიზიანებული! სულ მწერალთა და ხელოვანთა წრეში ტრიალებს, ყველასათვის შეუმჩნეველი, გაბითურებული და გულმოკლული. მას ისევე ეშინია თავისი კოლეგებისათვის თვალის გასწორება, როგორც თავზეხელაღებულ ბანქოს მოთამაშეს, რომელსაც ფული არა აქვს... ახალგაზრდობაში მე ვერ ვხედავდი ჩემს მკითხველს, მაგრამ რატომღაც იგი ჩემდამი მტრულად განწყობილი მეჩვენებოდა. პიესებს ვწერდი და მაყურებლის მეშინოდა! თეატრში მოსულ ხალხზე ფიქრიც კი მზარავდა და ყოველთვის, როცა ჩემი ახალი პიესა იდგმებოდა, ასე მეგონა ყველა მაყურებელი ჩემი მტერი იყო — ქერათმიანიც და შავგვრემანიც; თან შავგვრემანებს აშკარა მტრებად ვთვლიდი, ქერათმიანებს კი — გულგრილ, ყველაფერზე ხელჩაქნეულ ადამიანებად... ო, რა ტანჯვა იყო, რა საშინელება!

ნ ი ნ ა. კი მაგრამ, განა შთაგონება ან თვით შემოქმედების პროცესი სიამოვნებას არ განიჭებთ? განა ბედნიერი არ ხართ, როცა წერთ?

ტ რ ი გ ო რ ი ნ ი. თვითონ-წერა, კი, მსიამოვნებს. კორექტურის კითხვაც სასიამოვნოა... მაგრამ დაიბეჭდება თუ არა ნაწარმოები, უკვე აღარ მომწონს. ვხედავ, რომ ის არ გამოვიდა, რაც მინდოდა. სხვა უნდა დამეწერა... ამის გამო გული მომდის, უგუნებოდ ვხდები. (სიცილით) ხალხი კი იძახის: „სასიამოვნოა... ნიჭიერად დაწერილია, მაგრამ ტოლსტოის ვერ შეედრებაო“... ან კიდევ: „ჩინებულია, ოღონდ ტურგენევის „მამები და შვილები“ სჯობიაო“... და ასე იქნება სულ, სამარის კარამდე. ყველაფერი, რასაც დავწერ, ან „სასიამოვნო“, ან „ჩინებული“ იქნება... სასიამოვნო და ჩინებული... მეტი არაფერი... ხოლო, როცა მოვკვდები, ჩემი ნაცნობები ჩემ საფლავს რომ ჩაუვლიან, იტყვიან: „აქ განისვენებს ტრიგორინი. კარგი მწერალი იყო, თუმცა ტურგენევს ვერ შეედრებოდაო“.

ნ ი ნ ა. მაპატიეთ, მაგრამ არ მესმის რას ლაპარაკობთ. თქვენ, მე მგონი წარმატებით განებივრებული ხართ.

ტ რ ი გ ო რ ი ნ ი. რომელ წარმატებაზე მეუბნებით? ჩემი თავი, როგორც მწერალი არასოდეს მომწონებია... ყველაზე ცუდი [illegible] არის, რომ ხშირად მე თვითონ არ მესმის, რასა ვწერ. უბრალოდ მიყვარს ეს ცა, წყალი, ხეები, საერთოდ ბუნება... მაღელვებს ყველაფერი, რასაც ვხედავ და იმიტომ ვწერ. მაგრამ მე ხომ მარტო პეიზაჟისტი არა ვარ, მოქალაქეც მქვია, სამშობლო მიყვარს, ჩემი ხალხიც... და რადგან მწერალი ვარ, ვალდებული ვარ ხალხის ცხოვრებაც ავსახო, მისი გაჭირვება, მისი აწმყო და მომავალი... ვილაპარაკო მეცნიერებაზე, ადამიანთა უფლებებზე და სხვა და სხვა... და მეც ვწერ ყოველივე ამას, ვჩქარობ... ყოველი მხრიდან კი მაქეზებენ, მტუქსავენ, შენიშვნებს მაძლევენ... ამის გამო აქეთ-იქით ვაწყდები დაბნეული, როგორც მელია, რომელსაც მონადირე ძაღლები მისდევენ. ცხოვრება კი ამასობაში წინ მიდის, მეცნიერება ვითარდება და მეც მათ მივდევ და ვერ ვეწევი მატარებელს ჩამორჩენილი გლეხივით და ბოლოს ვრწმუნდები, რომ თურმე არაფრის გამკეთებელი არ ვყოფილვარ, არაფერი შემძლებია, გარდა პეიზაჟების ხატვისა და სხვა ყველაფერი, რაც დავწერე, სიყალბეა და ტყუილი, ხოლო მე თვითონ — თავით ფეხამდე მოგონილი და ყალბი ვარ.

ნ ი ნ ა. თქვენ ალბათ დაიღალეთ ხანგრძლივი მუშაობით, ან იმდენად გართული ხართ თქვენი საქმით, რომ არც დრო, არც ხალისი არ გაგაჩნიათ საკუთარი ღირსების შესაგნებად. რამდენიც გინდათ უსაყვედურეთ თქვენ თავს, სხვებისთვის მაინც დიდი მწერალი ხართ!.. თქვენსავით შემოქმედი რომ ვიყო, მთელ ჩემ ცხოვრებას ხალხის სამსახურს მოვანდომებდი, თან ყოველთვის მექნებოდა იმის ნათელი შეგნება, რომ ჩემი მკითხველი ჩემამდე უნდა ამაღლდეს... დიახ, ამაშია მისი ბედნიერება. და მერწმუნეთ, მადლიერი მკითხველები სულ საზეიმო ეტლით მატარებდნენ.

ტ რ ი გ ო რ ი ნ ი. ეტლით რა... აგამემნონი ხართ?

(ორივეს გაეცინება).

ნ ი ნ ა. ღმერთო ჩემო, რას არ მოვითმენდი, რას არ ავიტანდი, მწერალი ან მსახიობი რომ ვყოფილიყავი. შიმშილსაც ავიტანდი, გალატაკებასაც. სარდაფში ვიცხოვრებდი, სულ უკმაყოფილო ვიქნებოდი საკუთარი თავით, მაგრამ ქება-დიდების გემოს მაინც შევიტკბობდი! სახელი ხომ მექნებოდა! (თვალებზე ხელს აიფარებს) უჰ, თავბრუ დამეხვა!

(აივნიდან არკადინას ხმა ისმის: „ბორის ალექსეევიჩ!“).

ტ რ ი გ ო რ ი ნ ი. მეძახიან... ალბათ უკვე ბარგს ალაგებენ... რომ იცოდეთ, როგორ არ მინდა წასვლა! (ტბას გახედავს) რა სილამაზეა!

ნ ი ნ ა. გაღმა ნაპირზე სახლს ხედავთ?

ტ რ ი გ ო რ ი ნ ი. დიახ.

ნ ი ნ ა. იქ დავიბადე, განსვენებული დედაჩემის მამულია. მთელი ჩემი ცხოვრება ამ ტბის პირას გავატარე...

ტ რ ი გ ო რ ი ნ ი. შესანიშნავი ადგილია, უკეთესს ვერ ინატრებს კაცი! (თოლიას შეამჩნევს) ეს რაღაა?

ნ ი ნ ა. თოლია. კონსტანტინ გავრილოვიჩმა მოკლა.

ტ რ ი გ ო რ ი ნ ი. ლამაზი ფრინველია... მართლა არ მინდა წასვლა. მოელაპარაკეთ ირინა ნიკოლაევნას, იქნებ დარჩეს...

(რაღაცას ჩაიწერს უბის წიგნაკში).

ნ ი ნ ა. რას წერთ?

ტ რ ი გ ო რ ი ნ ი. ისე ჩავინიშნე. პატარა მოთხრობის სიუჟეტია. (წიგნაკს ჯიბეში ჩაიდებს) ტბის პირას ახალგაზრდა ქალიშვილი ცხოვრობს. თოლიასავით ვერ შორდება ტბას და თოლიასავით თავისუფალია. მოდის ვიღაც უსაქმო კაცი, დაინახავს ქალიშვილს და ვითომც არაფერიაო, ისე, სხვათაშორის დაღუპავს მას... ამ თოლიასავით.

(პაუზა. აივანზე არკადინა გამოჩნდება).

ა რ კ ა დ ი ნ ა. ბორის ალექსეევიჩ!

ტ რ ი გ ო რ ი ნ ი. ახლავე. (მიდის, თან უკან იხედება. მიუახლოვდება არკადინას) რაშია საქმე?

ა რ კ ა დ ი ნ ა. ჩვენ ვრჩებით. (ტრიგორინი სახლში შედის).

ნ ი ნ ა. (ავანსცენაზე გამოდის, ფიქრის შემდეგ) ეს სიზმარია!

## მოქმედება მესამე

სასადილო დარბაზი სორინის სახლში. მარჯვნივ და მარცხნივ — ორი კარებია. კედელთან ძველებური განჯინა და წამლების კარა-

და. შუა დარბაზში მაგიდა დგას. იატაკზე ჩემოდანი და მუყაოს კოლოფებია მიმოყრილი. ეტყობა გასამგზავრებლად ემზადებიან. ტრიგორინი საუზმობს. იქვე მაგიდასთან მაშა ატუზულა.

მაშა. მწერალი რომ ხართ, იმიტომ გიამბობთ. შეგიძლიათ მოთხრობაში გამოიყენოთ... გეფიცებით ყველაფერს, სასიკვდილოდ რომ დაჭრილიყო, ერთ წუთს არ ვიცოცხლებდი!.. და მაინც მაგარი ქალი ვარ. ავიღე და გადავწყვიტე: ამოვიგდებ გულიდან მის სიყვარულს.

ტრიგორინი. ეგ როგორ?

მაშა. როგორ და... ვთხოვდები. მედვედენკოს მივყვები.

ტრიგორინი. მასწავლებელს?

მაშა. დიახ.

ტრიგორინი. რა საჭიროა, არ მესმის.

მაშა. აბა რა აზრი აქვს უიმედო სიყვარულს? ამდენი წელია სულ რაღაცას ველოდები... გავთხოვდები და სიყვარულზე ფიქრის თავიც აღარ მექნება, ათასი საზრუნავი გამიჩნდება, ყველაფერი დამავიწყდება. თან სიახლეა მაინც... ხომ არ გაგვემეორა?

ტრიგორინი. მეტი რომ მოგვივიდეს?

მაშა. არა! (ორ ჭიქას გაავსებს) ეგრე ნუ მიყურებთ, ქალები უფრო ბევრსა სვამენ, ვიდრე ჰგონიათ. ზოგიერთები ჩუმად ყლაპავენ, მე კი არ ვმალავ... თან არაყს გიახლებით ან კონიაკს, უფრო მაგარია. (ჭიქას მიუჯახუნებს) თქვენი სადღეგრძელო იყოს. უბრალო კაცი ხართ და მენანება თქვენთან დაშორება. (სვამენ).

ტრიგორინი. მეც არ მინდა წასვლა.

მაშა. თხოვეთ, იქნებ დარჩეს.

ტრიგორინი. აღარ დარჩება. თავის შვილზეა გაბრაზებული. ჯერ იყო და თავს იკლავდა, ახლა კი, ამბობენ, დუელში გამოწვევას მიპირებს... რა დავუშავე, არ ვიცი. სულ იბღვირება, ჭირვეულობს, რაღაც სიახლეებს ქადაგებს... რით ვერ გაიგო, რომ ამქვეყნად ადგილი ყველას ეყოფა — ახლებსაც და ძველებსაც. რა საჭიროა ხელის კვრა და ჩხუბი?

მაშა. გარდა მაგისა, ეჭვიანობს... თუმცა, ეგ ჩემი საქმე არ არის. (პაუზა. ოთახში იაკობი შემოდის ჩემოდნით ხელში და ისევ გადის. შემოდის ნინა და ფანჯარასთან გაჩერდება). ჩემი საქმრო მაინცდამაინც დიდი ჭკუის კაცი არ არის, მაგრამ გულკეთილია და ღარიბი, თან, რაც მთავარია ვუყვარვარ... მეცოდება, საწყალი! დედამისიც ცოდვაა... ეჰ! (ხელს ჩაიქნევს) ნება მომეცით გამოგეთხოვოთ. (მაგრად ჩამოართმევს ხელს) კარგად ბრძანდებოდეთ და ავად ნუ მომიგონებთ... მადლობელი ვარ კეთილი მოპყრობისათვის... წიგნს თუ გამომიგზავნით, კარგს იზამთ. ოღონდ აუცილებლად ავტოგრაფით იყოს... ერთიც მინდა გთხოვოთ: სიტყვა „პატივცემულს“ ნუ დააწერთ, უბრალოდ წააწერეთ: „უთვისტომო მარიას, რომელმაც თვითონ არ იცის, რისთვის ცხოვრობს ამ ქვეყანაზე“... მშვიდობით! (გადის).

ნინა. (დამუშტულ მარჯვენას გაუწვდის ტრიგორინს) კენტია თუ ლუწი?

ტრიგორინი. ლუწი.

ნინა. (მუჭს გაშლის, ამოიოხრებს) ვერ გამოიცანით — ერთი მარცვალია. მე ჩავიფიქრე, მსახიობი გავხდე თუ არა? ნეტა მირჩიოს ვინმემ.

ტრიგორინი. ვინ უნდა გირჩიოთ, თვითონ უნდა გადაწყვიტოთ. (პაუზა).

ნინა. მე და თქვენ ვშორდებით და ალბათ ვერასოდეს ველარ ვნახავთ ერთმანეთს... მე გთხოვთ, ეს პატარა სახსოვარი მიიღოთ ჩემგან. მედალიონია. ზედ თქვენი ინიციალები ამოვაჭრევინე. იქითა მხარეს კი თქვენი წიგნის სახელწოდება აწერია, „დღეები და ღამეები“.

ტრიგორინი. რა ლამაზია! (მედალიონს აკოცებს) შესანიშნავი საჩუქარია.

ნინა. ზოგჯერ გამიხსენეთ ხოლმე.

ტრიგორინი. რასაკვირველია, გაგიხსენებთ. და ყოველთვის ისეთს, როგორიც იმ მზიან დღეს იყავით, — გახსოვთ? ერთი კვირის წინათ... თქვენ მაშინ ღია ფერის კაბა გეცვათ, ჩვენ ვსაუბრობდით... მერხზე კი თეთრი თოლია იდო.

ნინა. (ჩაფიქრებული) დიახ, თოლია... (პაუზა) ამის მეტს ვერაფერს გეტყვით... აქეთ მოდიან... (მოულოდნელად) გემუდარებით, წასვლის წინ ორიოდე წუთით მნახეთ, რაღაც უნდა გითხრათ! ისე არ წახვიდეთ. (სწრაფად მოშორდება და გადის. მარჯვენა მხრიდან შემოდიან არკადინა და სორინი. სორინს ფრაკი აცვია და მკერდზე ვარსკვლავი უბნევია. მათ მოყვებათ იაკობი).

არკადინა. შინ დარჩენილიყავი, ბებერო, რა დროს შენი მგზავრობაა, ძლივს დადიხარ! (ტრიგორინს) ვის ელაპარაკებოდი? ნინა იყო?

ტრიგორინი. კი.

არკადინა. პარდონ, ხელი შეგიშალეთ. (ჯდება) მე მგონი ყველაფერი ჩავალაგეთ... დავიღალე.

ტრიგორინი. (შეუმჩნევლად მედალიონს ათვალიერებს, კითხულობს) „დღეები და ღამეები“, გვერდი 121, სტრიქონი 11 და 12...

იაკობი. (ჩემოდნებს დასტრიალებს) ანკესებსაც წაიღებთ, ბატონო?

ტრიგორინი. კი, შეახვიე, დამჭირდება... წიგნები კი ვინმეს მიეცით.

იაკობი. ბატონი ბრძანდებით.

ტრიგორინი. (თავისთვის) გვერდი 121, სტრიქონი 11 და 12... ნეტა რა წერია იქ? (არკადინას) ამ სახლში ჩემი წიგნი თუ არი?

არკადინა. ძმის ოთახში ნახე, კუთხის კარადაში.

ტრიგორინი. გვერდი 121... (გადის).

არკადინა. დარჩი, პეტრუშა, აბა სად მიდიხარ.

სორინი. უთქვენოდ აქ რა გამაჩერებს, სული ამომხდება მოწყენილობისაგან.

არკადინა. რა საქმე გაქვს ქალაქში?

სორინი. არავითარი, მაგრამ ქალაქი მაინც ქალაქია. (იცინის) გავივლ-გამოვივლი, თვალს წყალს დავალევინებ... იქ ახლა ერობის სახლს აშენებენ, იმასაც ვნახავ... აბა, შინ რა გავაკეთო? უხმარად გდებისაგან, ძველი ჩიბუხივით ლამის არი ობი მომეკიდოს. ცხენებს პირველი საათისათვის მოგვართმევენ, მე ვუბრძანე... ჰოდა, ერთად წავალთ.

არკადინა. (პაუზის შემდეგ) უჩვენოდ არ მოიწყინო... გაცივებასაც ერიდე... კოსტიას მიხედე, ჭკუა დაარიგე ხოლმე... (პაუზა).

ისე მივდივარ, ვერ გავარკვიე: რა მიზეზით იკლავდა თავს... მე მაინც მგონია, იჭვიანობის ნიადაგზე, ამიტომ ტრიგორინს რაც უფრო მალე მოვაშორებ აქაურობას, უკეთესი იქნება.

სორინი. აბა რა გითხრა? სხვა მიზეზიც შეიძლება იყოს... გასაგებიც არი: ახალგაზრდა კაცია, ჭკვიანი... ბაიყუშივით ცხოვრობს ამ გამოყრუებულ სოფელში, არც ფული აქვს, არც მდგომარეობა, არც მომავალი... არავითარ სასარგებლო შრომას არ ეწევა და ამიტომაა, რომ წუხს და სინდისი ქენჯნის... შენ კარგად იცი, როგორ მიყვარს ეგ ბიჭი. ისიც შემეჩვია მგონი და მაინც ვერ ჩერდება ამ სახლში, ზედმეტ ადამიანად მიაჩნია თავი. სულ ჰგონია, მუქთახორაა და სამადლოდ მყავს შეკედლებული... ეგეთი თავმოყვარეა და რას იზამ.

არკადინა. გამაწვალა ამ ბავშვმა, პირდაპირ არ ვიცი რა ვუყო. (ჩაფიქრებული) სამსახური რომ დაეწყო?

სორინი. (უსტვენს თავისთვის, მერე გაუბედავად) მე მგონი, ყველაზე უკეთესი იქნებოდა, ცოტა ფული მიგეცა მისთვის. ადამიანურად ჩაიცვამდა მაინც. სამი წელია იმ თავის გახუნებულ სერთუკს ატარებს, პალტოც არა აქვს... (იცინის) გასეირნებაც არ აწყენდა სადმე საზღვარგარეთ... ბევრი ფული კი არ უნდა მაგას!

არკადინა. კოსტუმის ფულს კიდევ მივცემდი, ვიშოვნიდი სადმე... საზღვარგარეთ წასვლაზე კი რა მოგახსენო. (პაუზის შემდეგ) არა, კოსტუმის ფულსაც ვერ მივცემ. სადა მაქვს ფული? (სორინი იცინის).

რა გაცინებს? მართლა უფულოდ ვარ.

სორინი. (ისევ უსტვენს) შენ იცი... ოღონდ ნუ გამიჯავრდები და... მე მჯერა შენი... შენ ნამდვილად დიდსულოვანი და კეთილშობილი ქალი ხარ.

არკადინა. (ლამის ატირდეს) არა მაქვს ფული, არა!

სორინი. მე რომ მქონდეს საშუალება, თვითონ დავეხმარებოდი, მაგრამ კაპიკი არ გამაჩნია. (იცინის) მთელი ჩემი პენსია იმ ოხერ მოურავს მიაქვს. რაში ხარჯავს, — კაციშვილი ვერ გაიგებს. ეს მიწათმოქმედებაო, ეს მეცხოველეობაო, ეს მეფუტკ-

რეობათ... თვითონაც არ ვიცი, სად მიდის ჩემი ფული. ფუტკარი წუდება, ძროხები იხოცებიან, ცხენებს, როცა მინდა, არ მაძლევენ..

არკადინა. ფული კი მაქვს, მაგრამ მე მსახიობი ვარ; მარტო ჩემი ჩაცმა-დახურვა რად ღირს, თუ იცი?

სორინი. ვიცი, როგორ არ ვიცი. შენ გულკეთილი ქალი ხარ, საყვარელო... მე შენ პატივს გცემ... (დაბარბაცდება) ცუდად ვარ, თავბრუ მეხვევა. (მაგიდას დაეყრდნობა) მიშველეთ, გული მიმდის...

არკადინა. (შეშფოთებული) პეტრუშა! (მხარში ამოუდგება) პეტრუშა, ძვირფასო... (ყვირის) ეი, ვინ ხართ მანდ, გამოიხედეთ! (შემორბის ბაფთით თავშეხვეული ტრეპლევი, მას მედვედენკო მოყვება) მიშველეთ, ცუდად არის.

სორინი. არაფერია, ძამიკო, არაფერი... (იღიმება და წყალს სვამს) უკვე გამიარა.

ტრეპლევი. (დედას) დამშვიდდი, დედა, საშიში არაფერია. ამ ბოლო დროს ხშირად ემართება ასე. (სორინს) შენ უნდა დაწვე, ძია.

სორინი. სწორი ხარ, დაწოლა არ მაწყენს... ქალაქში კი მაინც წავალ. დავისვენებ და წავალ... აუცილებლად უნდა წავიდე. (ჯოხს დაეყრდნობა და მედვედენკოს დახმარებით კარისაკენ მიდის).

მედვედენკო. ერთ გამოცანას ვეტყვით: დილით ოთხ ფეხზეა, შუადღისას ორზე, საღამოთი კი სამზე...

სორინი. (იცინის) ჩემი ამბავია სწორედ... ღამით კი გულაღმა წევსო, არა? ნუ წუხდებით, თვითონ წავალ.

მედვედენკო. კარგით ახლა, რას მებოდიშებით.

(ისა და სორინი გადიან).

არკადინა. როგორ შემაშინა.

ტრეპლევი. არ შეიძლება მისი სოფელში ცხოვრება, სულ დარდიანად არის. იცი რა, დედა? ორიოდი ათასი მანეთი რომ გესესხებინა მისთვის, მთელ წელიწადს ქალაქში გაატარებდა.

არკადინა. სადა მაქვს ფული? მე მსახიობი ვარ და არა ბანკირი. (პაუზა).

ტრეპლევი. დედა, სახვევი გამომიცვალე, შენ ეგ გეხერხება.

არკადინა. (წამლების კარადიდან იოდოფორმსა და პატარა კოლოფს გადმოიღებს) ექიმი სადღაა?

ტრეპლევი. ათზე მოვალო, რატომღაც იგვიანებს.

არკადინა. დაჯექი. (თავიდან ბანდს ხსნის) ჩალმოსანს გავხარ. გუშინ ვიღაც ჩამოსულს უკითხავს შენზე, რა ეროვნებისააო? (ჭრილობას ათვალიერებს) ჭრილობა თითქმის შეხორცებულა; ცოტა შეწითლებულია. (თავზე კოცნის) უჩემოდ ხომ აღარ გაიმეორებ იმ სისულელეს?

ტრეპლევი. არა, დედა. ის რაღაც გიჟური სასოწარკვეთის წუთი იყო, როცა საკუთარ თავზე კონტროლი დავკარგე. მეტს აღარ ვიზამ. (ხელზე კოცნის) ოქროს ხელი გაქვს. მახსოვს, დიდი ხნის წინათ, მაშინ მე სულ პატარა ვიყავი, შენ კი სახაზინო თეატრის სცენაზე მსახურობდი, — ჩვენს ეზოში ჩხუბი ატყდა და ერთ მრეცხავ ქალს, — ჩვენი მდგმური იყო, იმავე სახლში ცხოვრობდა, სადაც ჩვენ ვიდექით, მაგრა სცემეს... უგონოდ გახდა, საწყალი... არ გახსოვს? შენ მას უვლიდი, თავს ევლებოდი, წამლები დაგქონდა მასთან, მის ბავშვებს ტანს ბანდი... ნუთუ არ გახსოვს?

არკადინა. არა. (ახალ ბანდს ახვევს).

ტრეპლევი. ორი მოცეკვავე ქალი ცხოვრობდა მაშინ ჩვენს სახლში, ყავის დასალევად მოდიოდნენ შენთან...

არკადინა. ეგ მახსოვს.

ტრეპლევი. საოცრად მორწმუნე ქალები იყვნენ, სულ პირჯვარს იწერდნენ.

(პაუზა).

იცი, დედა, ამ ბოლო დროს უცნაურ ცვლილებას ვატყობ ჩემს თავს... ეს რამდენიმე დღეა, ისე სათუთად და განუსჯელად მიყვარხარ, როგორც ბავშვობაში მიყვარდი. შენს გარდა ხომ აღარავინ დამრჩა... ერთი რამ არ მსიამოვნებს მხოლოდ, რომ იმ კაცს ესოდენ დიდი გავლენა აქვს შენზე.

არკადინა. შენ მისი არ გესმის, კონსტანტინ. უკეთილშობილესი პიროვნებაა.

ტრეპლევი. რა კეთილშობილებაა გეთაყვა? გაიგო თუ არა, რომ დუელში ვიწვევ, გუდა-ნაბადი აიკრა და გარბის, მშიშარა ყოფილა.

არკადინა. სისულელეა! მე თვითონ ვთხოვე წასულიყო.

ტრეპლევი. კეთილშობილი პიროვნება! მაგის გამო მე და [illegible] ლამის არის წავეჩხუბოთ ერთმანეთს, ეგ კი არხეინად არი! ზის ახლა სადმე აივანზე და დაგვცინის ორივეს. ნინას ახვითარებს გონებრივად! უნდა დაარწმუნოს, რომ მართლა გენიოსია.

არკადინა. შენ, ეტყობა გსიამოვნებს ჩემი გაღიზიანება. მე პატივს ვცემ იმ ადამიანს და გთხოვ, ჩემი თანდასწრებით აღარ გაბედო მისი აუგად ხსენება.

ტრეპლევი. მე კი პატივს არა ვცემ! შენ გინდა დამაჯერო, რომ ის გენიოსია... მაპატიე, მაგრამ ტყუილი არ მეხერხება. მისი ნაწარმოებები გულს მირევს.

არკადინა. იმიტომ, რომ გშურს მისი. როცა ადამიანი უნიჭოა და თან შენსავით რაღაცის პრეტენზიას აცხადებს, იმას აღარაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ აძაგოს ყველა, ვინც ღვთის მადლით არი მირონცხებული. ვერაფერი ნუგეშია, ღმერთმანი!

ტრეპლევი. (ირონიულად) ღვთის მადლით მირონცხებული! (განრისხებული) მაგაზე თუ მიდგა საქმე, მე თქვენზე უფრო ნიჭიერი ვარ! დიახ, დიახ. (თავიდან სახვევს ჩამოიგლეჯს) რუტინიორები! ჩაიგდეთ ხელში ხელოვნება და კანონიერად მარტო იმას თვლით, რასაც თვითონ აკეთებთ! დანარჩენები კი სულელები და უნიჭოები არიან. და ამიტომ უნდა დაახრჩოთ ისინი, არა? სწორედ თქვენა ხართ უნიჭოები. არაფერი მწამს თქვენი, — არც შენი, არც მისი.

არკადინა. გაჩუმდი, შე დეკადენტო!

ტრეპლევი. წაბრძანდი შენს დიდებულ თეატრში და ითამაშე შენი უბადრუკი როლები!

არკადინა. უბადრუკი როლები შენს პიესებში მოიკითხე, მე ყოველთვის კარგ როლებს ვასრულებდი! თავი გამანებე, თუ ღმერთი გწამს! უბრალო ვოდევილიც ვერ დაგიწერია და ამდენს უბედობ! ფილისტერი ხარ და მუქთახორა.

ტრეპლევი შენ კი კრიჟანგი ხარ!

არკადინა. მათხოვარი!

(ტრეპლევი ჯდება და ჩუმად ტირილს იწყებს)

არარაობა! (აღელვებული ბოლთას სცემს) ნუ სტირი... გაჩერდი ახლა, გესმის რას გეუბნები, ნუ სტირი მეთქი! (თვითონაც ატირდება) აი, ხედავ, მეც ამატირე. (მივარდება და პირსახეს უკოცნის) მაპატიე, შვილო, დაივიწყე, რაც გითხარი... შენ შემოგევლოს დედა... შენი ცოდვილი დედა... შენი უღირსი და უბედური დედა...

ტრეპლევი. (მოეხვევა) რომ იცოდე, რომ იცოდე, დედა... ყველაფერი დავკარგე, რაც მქონდა... ველარაფერს ვწერ, რადგან იმას აღარ ვუყვარვარ.

არკადინა. გულს ნუ გაიტეხ, შვილო, დამშვიდდი... ეშველება მაგ საქმეს... წავა ის კაცი და ისევ შეუყვარდები... აი, ნახავ! (ცრემლებს უმშრალებს) კარგი ახლა, დაწყნარდი. ჩვენ ხომ შევრიგდით?

ტრეპლევი. (ხელებს უკოცნის) კი, დედა, შევრიგდით.

არკადინა. (ტკბილად) იმ კაცსაც შეურიგდი... ეს დუელია თუ რაღაცა, ამოიგდე თავიდან... აბა, რად გინდა?

ტრეპლევი. კარგი, დედა, შევურიგდები... ოღონდ, ნება მომეცი აღარ შევხვდე... არ შემიძლია...

(შემოდის ტრიგორინი წიგნით ხელში).

მე წავალ... (კარადაში შეალაგებს წამლებს) სახვევს ექიმი გამიკეთებს.

ტრიგორინი. (წიგნს ფურცლავს) გვერდი 121... სტრიქონი 11 და 12... აი... (კითხულობს) „თუ ჩემი სიცოცხლე როდისმე დაგჭირდეს, მოდი და წაიღე“...

(ტრეპლევი იატაკზე დაგდებულ სახვევს აიღებს და გადის)

არკადინა. ცხენებს საცაა მოგვართმევენ.

ტრიგორინი. (თავისთვის) „თუ ჩემი სიცოცხლე როდისმე დაგჭირდეს, მოდი და წაიღე“...

არკადინა. შენ უკვე მზად ხარ, ბარგი ჩაალაგე?

ტრიგორინი. (დაბნეულად) კი... (თავისთვის, ჩაფიქრებული) რა გულსაკლავი ნაღველია ამ მოწოდებაში... როგორ შეფრთხიალდა ჩემი გული ამ უმანკო სულის დაძახილზე... „თუ ჩემი სიცოცხლე როდისმე დაგჭირდეს, მოდი და წაიღეო“... (არკადინას) დავრჩენილიყავით კიდევ ერთი დღით? (არკადინა უარყოფითად თავს აქნევს) დავრჩეთ, რა მოხდება?

არკადინა. მე ვიცი, საყვარელო, რატომ გინდა დარჩენა, მაგრამ თავს უნდა სძლიო... შენ ახლა მთვრალივითა ხარ, გამოფხიზლდი.

ტრიგორინი. შენც ფხიზლად შეხედე ამ ამბავს. ჩვენ ხომ მეგობრები ვართ? აწონ-დაწონე ყველაფერი და განსაჯე... დავრჩეთ, გემუდარები! (მკლავზე ხელს მოკიდებს) ნუთუ არ შეგიძლია გაიღო ჩემთვის ეს მსხვერპლი? მომეცი საშუალება გავაკეთო ის, რაც მინდა.

არკადინა. ეგრე გატაცებული ხარ?

ტრიგორინი. რა ვქნა, ირინა, გული იმისკენ მიმიწევს. იქნებ ეს სწორედ ის არის, რაც ახლა ყველაზე ყველაზე მეტად მჭირდება.

არკადინა. პროვინციელი გოგოს სიყვარული? არ გადამრიო! ცუდად გიცვნია შენი თავი.

ტრიგორინი. ადამიანი ხშირად ფხიზლობს, მაგრამ მთვარეულივითაა... მეც ახლა ასე მომდის: შენ გელაპარაკები და იმას კი ვხედავ. ო, რა ტკბილი სიზმარია! გამიშვი, გთხოვ.

არკადინა. არა, არა! მე ჩვეულებრივი ქალი ვარ... მიკვირს, მაგას როგორ მეუბნები! ნუ მტანჯავ, ბორის, შენ მე მაშინებ.

ტრიგორინი. ერთადერთი, რასაც კაცის გაბედნიერება შეუძლია, სიყვარულია, ახალგაზრდა, უმანკო არსების სიყვარული!.. ასეთი გრძნობა მე ჯერ არ განმიცდია. ყმაწვილობაში მაგისთვის ვერ ვიცლიდი, — რედაქციებში დავრბოდი და გაჭირვებას ვებრძოდი... ახლა კი, როგორც იქნა ველირსე, მოვიდა ის სიყვარული და მეძახის. ნუთუ უნდა გავექცე? რატომ? რისთვის?

არკადინა. შენ გაგიჟდი!

ტრიგორინი. დე, ეგრე იყოს. ;

არკადინა. თქვენ რა, შეთანხმდით თუ რაშია საქმე? რატომ მაწვალებთ? (ტირის).

ტრიგორინი. (თავში მუშტს ირტყამს) არ ესმის, არა! არაფრის გაგება არ უნდა!

არკადინა. ნუთუ მე ეგეთი ბებერი და უშნო ვარ, რომ სხვა ქალზე მელაპარაკები? (მოეხვევა და კოცნის) არა, შენ ნამდვილად გაგიჟებული ხარ!.. ჩემო ლამაზო, ჩემო სიხარულო, იცი როგორ მიყვარხარ? შენ ხომ ჩემი ცხოვრების უკანასკნელი ფურცელი ხარ. ჩემი უკანასკნელი ნუგეში... (დაუჩოქებს) მოდი აქ, საყვარელო, მოდი! ჩემო სიამაყევ, ჩემო ნეტარებავ... (მუხლებზე ხელებს შემოაჭდობს) შენ რომ დამტოვო, თუნდაც ერთი წუთით, თავს მოვიკლავ, ყელს გამოვიჭრი!

ტრიგორინი. (შეშფოთებული) რას ჩადიხართ? აქ არავინ შემოვიდეს! (მის წამოყენებას ცდილობს).

არკადინა. შემოვიდნენ, მე ამ სიყვარულის არა მრცხვენია! (ხელებს უკოცნის) ჩემო გადარეულო ბიჭო, შენ გიჟობა გინდა, მე კი არ გაგიშვებ, არა! (იცინის) ხომ ჩემი ხარ?აბა, მითხარი, ჩემი ხარ? მარტო ჩემი? აი, ეს შუბლიც ჩემია, ეს თვალებიც, ეს გადასარევი, აბრეშუმივით ნაზი თმებიც... შენ მთლიანად მე მეკუთვნი და არავის დავუთმობ შენს თავს!.. შენ ხომ ჭკვიანი ხარ, ყველაზე ჭკვიანი და ნიჭიერი, თანამედროვე მწერალთა შორის უპირველესი, რუსეთის იმედი და სიამაყე! ჰო, ჰო! მარტო მე ვიცი შენი ფასი! შენ განუმეორებელი ხარ შენი გულწრფელობით, შენი სისადავით, სიახლით, ჯანსაღი იუმორით... კალმის ერთ მოსმით შეგიძლია გადმოსცე მთავარი, რაც ადამიანს ახასიათებს. შენსავით პეიზაჟის ხატვის ოსტატი რუსეთს ჯერ არა ჰყოლია!.. შენ წარმოდგენაც არა გაქვს რა ბედნიერებაა შენი წიგნების კითხვა!.. თუ გგონია, ქათინაურს გეუბნები ან ვპირფერობ? არაფერიც. აბა, თვალებში ჩამხედე. მატყუარას ვგავარ? ხედავ, მარტო მე შემიძლია შენი დაფასება, მარტო მე გეუბნები სიმართლეს... ჩემო სიყვარულო, ჩემო სიცოცხლევ! ახლა ხომ არ დამტოვებ? ხომ არსად გამექცევი? მიპასუხე, ნუ მტანჯავ!

ტრიგორინი. რა ვქნა, ეგეთი უნებისყოფო ვარ... ვერასოდეს ვერ გამიკეთებია ის, რაც მინდა. თონთლო ვარ, მუდამ სხვისი დამჯერი და მორჩილი! რა მოგწონთ ჩემში, ვერ გამიგია? მომკიდე ხელი და წამიყვანე! სადაც გინდა იქ წამიყვანე. ოღონდ ხელი არ გამიშვა, შენი ნებართვის გარეშე ნაბიჯიც არ გადამადგმევინო.

არკადინა. (თავისთვის) ახლა კი ჩემი ხარ. (აგდებულად, ვითომც არაფერი მომხდარიყოს) ჰო, მართლა... თუ ძალიან გინდა, შეგიძლია დარჩე, მე მარტო წავალ... მერე ჩამოდი, ერთი კვირის შემდეგ. რა აუცილებელია ახლა შენი წამოსვლა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიგორინი. არა, გეთაყვა, ერთად წავიდეთ.

არკადინა. შენი ნებაა, როგორც იტყვი. (პაუზა. ტრიგორინი რაღაცას ჩაიწერს უბის წიგნაკში) რას წერ?

ტრიგორინი. ერთი გამოთქმა გამახსენდა. დილით მოვისმინე, გამოვიყენებ. (იზმორება) მაშ მივდივართ! ისევ მატარებლები, სადგურები, ბუფეტები, კატლეტები, მგზავრების ყაყანი...

(შემოდის შამრაევი).

შამრაევი. მაქვს პატივი, მწუხარება გამოვთქვა იმის გამო, რომ ეტლი უკვე გიცდით! დიდად პატივცემულო, სადგურში წასვლის დროა. მატარებელი 2 საათსა და 5 წუთზე გავა... ირინა ნიკოლაევნა, მოწყალება გაიღეთ და გამიგეთ, თქვენი ჭირიმე, სად იმყოფება ახლა მსახიობი სუზდალცევი? ცოცხალი თუა? ან როგორ არი? ერთ დროს არაყი დაგვილევია ერთად... მახსოვს „ფოსტის გაძარცვაში“ თამაშობდა გადასარევად!.. მასთან ერთად, ელისავეტგრადში, თუ არ ვცდები, ტრაგიკოსი იზმაილოვიც გამოდიოდა. ისიც დიდებული პიროვნება იყო... ნუ აჩქარდებთ, დიდად პატივცემულო, ხუთი წუთი თქვენს განკარგულებაშია... ერთხელ მახსოვს, რაღაც მელოდრამაში მეამბოხეთა როლს ასრულებდნენ ორივენი და ბოლო სცენაში, როცა პოლიციამ შეთქმულები შეიპყრო, იზმაილოვმა, იმის მაგივრად, რომ ეთქვა „ჩვენ მახეში გავებითო“, თქვა „ჩვენ მაეხში გავებითო“... (ხარხარებს) მაეხში!

(ამასობაში იაკობი ჩემოდნებს უტრიალებს, მოახლე ქალი არკადინას შლიაპას, მანტოს, ქოლგას და ხელთათმანებს აწვდის. ყველანი ეხმარებიან არკადინას ჩაცმაში. მარცხენა კარიდან მზარეული გამოიხედავს და მცირე ყოყმანის შემდეგ ისიც შემოდის. მას მოყვებიან პოლინა ანდრეევნა, შემდეგ სორინი და მედვედენკო).

პოლინა ანდრეევნა. (კალათით ხელში) ქლიავი მოგართვით, გზაში პირს გაისველებთ. არაჩვეულებრივად ტკბილია!

არკადინა. გმადლობთ ყურადღებისთვის.

პოლინა ანდრეევნა. მშვიდობით, ძვირფასო! თუ გაწყენინეთ რამ, გვაპატიეთ.

არკადინა. (მოეხვევა) აბა, რას ბრძანებთ? არავითარი წყენინება, ყველაფრით კმაყოფილი ვარ... ოღონდ ნუ ტირით.

პოლინა ანდრეევნა. დრო მიდის, ირინა ნიკოლაევნა, ვბერდებით.

არკადინა. რას იზამ, გენაცვალე.

სორინი. (პალტო აცვია, ზევიდან შალი აქვს მოხვეული, თავზე შლაპა ახურავს. ჯოხით ხელში შემოდის და გასასვლელისაკენ მიემართება) თქვენი არ ვიცი, მე კი წავედი. იჩქარეთ, ბატონებო, დაგვაგვიანდება! (გადის).

მედვედენკო. ეტლში, ალბად, ყველანი ვერ ჩავეტევით, მე ფეხით გამოგყვებით, სადგურამდე უნდა გაგაცილოთ. (გადის).

არკადინა. ნახვამდის, ჩემო ძვირფასებო! ზაფხულში, ალბათ, ისევ გინახულებთ. (მოახლე ქალი, იაკობი და მზარეული ხელზე კოცნიან) არ დამივიწყოთ! (მზარეულს მანეთიანს გაუწვდის) ეს თქვენ სამივეს.

მზარეული. უმორჩილესად გმადლობთ, ქალბატონო! კეთილი მგზავრობა! დიდად კმაყოფილი ვართ თქვენი მოწყალებით.

იაკობი. კეთილი მგზავრობა.

შამრაევი. წერილი მოიწერეთ, დიდად პატივცემულო, გაგვაბედნიერეთ.

არკადინა. ჰო, მართლა, კონსტანტინი სადღაა? გადაეცით, მივდივარ. ხომ უნდა გამოვემშვიდობო? აბა, ნახვამდის, ძვირფასებო, ცუდად ნუ მომიგონებთ! (იაკობს) მზარეულს მანეთიანი მივეცი, სამმა გაიყავით.

(ყველანი გადიან. სცენა ცარიელდება. გარედან წამსვლელების და გამცილებლების ყაყანი ისმის. მოახლე ქალი ბრუნდება ოთახში, მაგიდიდან ქლიავით სავსე კალათას აიღებს და გადის).

ტრიგორინი. (სწრაფად შემოდის) ჯოხი დამავიწყდა... მგონი, აივანზე დავდე... (მარცხენა კარისკენ მიდის და კარში ნინას წააწყდება) თქვენ? მივდივართ უკვე.

ნინა. გული მიგრძნობდა, კიდევ შეგხვდებოდით... (აღგზნებულია) ბორის ალექსეევიჩ, ძვირფასო... გადაწყდა, მე მსახიობი უნდა

გავხდე. ჩემი გადაწყვეტილება მტკიცეა და ამას წინ ვერაფერი დაუდგება. ხვალვე გავეცლები აქაურობას. მივატოვებ ოჯახს, მამას, ყველაფერს და ახალ ცხოვრებას დავიწყებ. წავალ მოსკოვში... თქვენც ხომ იქ იქნებით? იქნებ შევხვდეთ კიდეც.

ტრიგორინი. (მიიხედ-მოიხედავს) „სლავიანსკი ბაზარში" გაჩერდით... ჩამობვალთ თუ არა, უმალ შემატყობინეთ... მოლჩანოვკა, გროხოლსკის სახლი... არ დაგავიწყდეთ მისამართი... ახლა მეჩქარება. (პაუზა).

ნინა. ერთი წამით მოიცადეთ.

ტრიგორინი. (ხმადაბლა) ღმერთო ჩემო, რა ლამაზი ხართ... რა ბედნიერებაა, რომ მალე შევხვდებით. (ნინა მიუახლოვდება და მკერდზე მიეკრობა) ისევ დავინახავ ამ საოცარ თვალებს, ამ სინაზით აღსავსე ღიმილს... ამ სიწმინდესა და უმანკოებას... ძვირფასო ჩემო, საყვარელო... ნინა!..

(ხანგრძლივი კოცნა).

ფარდა

## მოქმედება მეოთხე

მესამე და მეოთხე მოქმედებებს შორის ორი წელი გადის. სორინის სახლი. სასტუმრო ოთახი, სადაც ამჟამად ტრეპლევის სამუშაო კაბინეტია. მარჯვნივ და მარცხნივ — ორი კარებია. შუაში, შემინულ კარს აივანზე გავყავართ. გარდა ჩვეულებრივი სასტუმრო ავეჯისა, ოთახის მარჯვენა კუთხეში საწერი მაგიდა დგას. მარცხენა კართან — ფართო დივანია და წიგნებით გატენილი კარადა. წიგნები ფანჯრის რაფაზე და სკამზედაც აწყვია. საღამოა. ოთახს მარტო ერთი თალფაქიანი ლამპა ანათებს. ნახევრად ბნელა. გარედან ძლიერი ქარის ზმუილი და ფოთლების შრიალი ისმის. დროდადრო სიჩუმეს უცნაური ხმაც არღვევს: ღამის დარაჯი სარაკუნას არახუნებს.

შემოდიან მედვედენკო და მაშა.

მაშა. (ხმამაღლა) კონსტანტინ გავრილიჩ! კონსტანტინ გავრილიჩ! (მიმოიხედავს) არავინაა. მოხუცი წამდაუწუმ კითხულობს, კოსტია სად არისო? ერთ წუთსაც ვერ ძლებს უიმისოდ.

მედვედენკო. მარტოობის ეშინია. (მიაყურადებს) რა საშინელი ამინდია! წუხელაც ასე იყო.

მაშა. (ლამპას ჩაუწევს) ტბაზეც ღელვაა, უზარმაზარი ტალღებია...

მედვედენკო. ბაღშიც ბნელა. ერთი უნდა ვუთხრათ ვინმეს, ის თეატრი დაანგრიონ. საფრთხობელასავითაა, შეგეშინდება რომ შეხედავ... მიტოვებული, ცარიელი... თეთრი ფიცრები ჩონჩხის ძვლებივითაა, ფარდის კალთას კი ქარი აფრიალებს... წუხელ ჩავუარე და კინაღამ გული გამისკდა: მომეჩვენა, თითქოს ვიღაცა ტიროდა სცენაზე...

მაშა. შენც იტყვი რაღაცას...

(პაუზა).

მედვედენკო. წავიდეთ, მაშა, სახლში...

მაშა. (თავს აქნევს) ამაღამ აქ ვრჩები.

მედვედენკო. (მუდარით) წავიდეთ, მაშა! ბავშვს ალბათ მოშივდებოდა.

მაშა. არა უშავს, მატრიონა აჭმევს.

(პაუზა).

მედვედენკო. ცოდვაა პატარა. მესამე დღეა მარტოა.

მაშა. რა მოსაწყენი გახდი, რომ იცოდე! ადრე ფილოსოფოსობდი მაინც, რაღაც ჭკვიანურს იტყოდი, ახლა კი სულ ბავშვი და და ბავშვი, სულ სახლი და სახლი... შენგან მეტს ვერაფერს გაიგონებ.

მედვედენკო. წავიდეთ, მაშა...

მაშა. წადი შენ.

მედვედენკო. მამაშენი ეტლს არ მომცემს.

მაშა. შეეხვეწე და მოგცემს.

მედვედენკო. წავალ, მართლაც ვთხოვ... მაშ, ხვალ ჩამოხვალ?

მაშა. (ბურნუთს ყნოსავს) ჰო, ჩამოვალ, ნუ გამიწყალე გული. (შემოდიან ტრეპლევი და პოლინა ანდრეევნა. ტრეპლევს ბალიში და საბანი, პოლინა ანდრეევნას კი თეთრეული მოაქვთ, დივანზე აწყობენ. ტრეპლევი საწერ მაგიდას მიუახლოვდება). ეს რაა, დედა?

პოლინა ანდრეევნა. პიოტრ ანდრეევიჩმა გვთხოვა, კოსტიასთან გამიშალეთო.

მაშა. მომეცით, მე... (ქვეშაგებს აფენს).

პოლინა ანდრეევნა. (ამოიოხრებს) მთლად გაბავშვდა მოხუცი... (საწერ მაგიდას იდაყვით დაეყრდნობა და ტრეპლევის ხელნაწერებს უყურებს. პაუზა).

ბიბლიოთეკა

მედვედენკო. ესე იგი, წავედი. მშვიდობით, მაშენკა. (ხელზე კოცნის) მშვიდობით დედილო! (დაიხრება რომ ხელზე აკოცოს).

პოლინა ანდრეევნა. (უკმაყოფილოდ) გეყოფა ახლა... წადი!

მედვედენკო. მშვიდობით, კონსტანტინ გავრილოვიჩ!

(ტრეპლევი უსიტყვოდ ხელს ართმევს. მედვედენკო გადის).

პოლინა ანდრეევნა. (ხელნაწერებს დასცქერის) ვინ იფიქრებდა, კოსტია, თუ ნამდვილი მწერალი გამოხვიდოდით? ახლა კი მადლობა ღმერთს, რედაქციებიდან ფულსაც გიგზავნიან... (თავზე ხელს გადაუსვამს) გალამაზებულხართ... კოსტია, ჩვენი კოსტია... ერთი ტკბილი სიტყვა მაინც უთხარით მაშენკას, ყურადღება მიაქციეთ.

მაშა. (ქვეშაგებს აგებს) თავი გაანებეთ, დედა!

პოლინა ანდრეევნა. (ტრეპლევს) შეხედეთ, რა კოხტა გოგოა?! (პაუზა) ქალს, ჩემო კოსტია, ბევრი კი არ უნდა? მარტო გაუღიმე ან ალერსიანად შეხედე და ეყოფა. ჩემი გამოცდილებით ვიცი. (ტრეპლევი უხმოდ ადგება და გავა).

მაშა. ეგ გინდოდა? გაბრაზდა და წავიდა. რას ჩააცივდი?

პოლინა ანდრეევნა. მეცოდები, შე საწყალო.

მაშა. ძალიანაც მჭირდება.

პოლინა ანდრეევნა. გული მიკვდება, რომ გიყურებ. განა ვერა ვხედავ, რა დღეში ხარ!

მაშა. სისულელეა ყველაფერი! უიმედო სიყვარული მარტო რომანებშია. ადამიანმა თავი არ უნდა გაინებივროს და არ უნდა ინატროს ისეთი რამ, რაც არ არსებობს... ეგ სიყვარულია თუ რაღაცა, გულში არ უნდა შეუშვა... ჩემ ქმარს დაპირდნენ სხვა მაზრაში გადაგიყვანთო. აი, გადავალთ და ყველაფერი დამავიწყდება...

(კედლის იქით მელანქოლიურ ვალსს უკრავენ).

პოლინა ანდრეევნა. კოსტია უკრავს, ეტყობა ისევ დარდობს.

მაშა. (ოთახში დატრიალდება ვალსის ხმას აყოლილი) მთავარია, დედაჩემო, თვალს მოშორდეს, აღარ დაინახო... ნეტა ჩემი სემიონი სხვა მაზრაში გადაიყვანონ და ერთ კვირაში დავივიწყებ. სისულელეა ყველაფერი!

(მარცხენა კარი გაიღება და დორნი და მედვედენკო სავარძლით შემოაგორებენ სორინს).

მედვედენკო. ჩემს ოჯახში ახლა ექვსი სულია. ერთი ფუთი ფქვილი კი ექვსი აბაზი ღირს.

დორნი. (ირონიულად) როგორ გინდა იოლას წახვიდე?

მედვედენკო. ჰო, იცინეთ, იცინეთ... თავზე საყრელი ფული გაქვთ და რა გენაღვლებათ.

დორნი. თავზე საყრელი? მე, გეთაყვა, ოცდაათი წელია საექიმო პრაქტიკას ვეწევი, დღე და ღამე გასწორებული მაქვს, წუთი არ მახსოვს ჩემი თავისთვის მომეცალოს და წარმოიდგინეთ, ორი ათასის მეტი ვერ შევაგროვე... ისიც, ამას წინათ, საზღვარგარეთ ყოფნის დროს დამეხარჯა. ასე რომ უკაპიკოდ ვარ.

მაშა. (ქმარს) არ წახვედი, კაცო?

მედვედენკო. (დამნაშავესავით) რა ვქნა, ეტლს არ მაძლევენ და...

მაშა. (ხმადაბლა, სიძულვილით) აღარ მომშორდები? დანახვა აღარ მინდა შენი!

(სორინის სავარძელს დივანთან მიაგორებენ. პოლინა ანდრეევნა და დორნი იქვე ჩამოსხდებიან, შეწუხებული მედვედენკო კი განზე გავა).

დორნი. თქვენ სახლში ცვლილება მომხდარა. ეს რაა, სასტუმრო ოთახი კაბინეტად გადაგიკეთებიათ?

მაშა. კონსტანტინ გავრილოვიჩს აქ უფრო ეხერხება მუშაობა. ბაღში გადის ხოლმე და იქ ფიქრობს.

(გარედან მოისმის ღამის დარაჯის სარაკუნას რახუნი).

სორინი. ჩემი და სად არის?

დორნი. სადგურში წავიდა ტრიგორინის შესახვედრად. საცაა დაბრუნდებიან.

სორინი. ეტყობა, ცუდადაა ჩემი საქმე, რაკი ჩემი და გამოიძახეთ მოსკოვიდან? (დუმილის შემდეგ) საოცარი ამბავია, ღმერთმანი! მძიმე ავადმყოფი ვარ და წამლებს არ მასმევენ.

დორნი. რა წამალი გნებავთ? ვალერიანის წვეთები? სოდა? ქინა-

ქინა?

ს ო რ ი ნ ი. დაიწყო ისევ ფილოსოფოსობა! (ხელს ჩაიქნევს, დივანისაკენ გაიხედავს) ეს ჩემთვის გაშალეთ?

პ ო ლ ი ნ ა ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. დიახ, პიოტრ ნიკოლაევიჩ.

ს ო რ ი ნ ი. აგაშენათ ღმერთმა.

დ ო რ ნ ი. (ღიღინებს) **„Месяц плывёт по ночным небесам“...**

ს ო რ ი ნ ი. ერთი პატარა სიუჟეტი მინდა შევთავაზო კოსტიას... იქნებ მოთხრობა დაწეროს... სახელწოდება ასეთი იქნება: „ადამიანი, რომელსაც უნდოდა...“ „L homme gui a voulu“... შინაარსი კი ასეთია... ახალგაზრდობაში სულ იმას ვნატრობდი, ლიტერატორი გავმხდარიყავი და ვერ გავხდი! სწორ, გამართულ ლაპარაკს ვცდილობდი და — ისე ვლუღლუღებდი, ჩემ ნათქვამს კაცი ვერ გაიგებდა. (თავის თავს გამოაჯავრებს) „ჰოდა, ასე შემდეგ...“ დავიწყებდი რაღაცის მტკიცებას და სანამ დასკვნამდე მივიდოდი, ოფლში გავიწურებოდი ხოლმე. ცოლის თხოვა მინდოდა და — ვერ ვითხოვე. ქალაქში ცხოვრება მსურდა და სოფელში უნდა ამომხდეს სული... ასე, ძამიკო: ყველაფერი მინდოდა, ვერაფერი ვერ შევძელი.

დ ო რ ნ ი. „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი“ გინდოდათ გამხდარიყავით და გახდით კიდეც!

ს ო რ ი ნ ი. (იცინის) ეგ არასოდეს არ მდომებია. თავისთავად მოხდა.

დ ო რ ნ ი. კაცი რომ 62 წლის ასაკში უკმაყოფილო იქნება თავისი ცხოვრებით, ეს, მაპატიეთ, არასულგრძელობაა.

ს ო რ ი ნ ი. რა უჯიათი ხართ! გაიგეთ ბოლოსდაბოლოს, სიცოცხლე მინდა.

დ ო რ ნ ი. ეგ კი უკვე ცერცეტობაა. ბუნების კანონის მიხედვით ყოველგვარ სიცოცხლეს დასასრული აქვს.

ს ო რ ი ნ ი. მაძღარი კაცივით მსჯელობთ. თქვენ თვითონ სიცოცხლე ყელში გაქვთ ამოსული და ამიტომა ხართ ასეთი გულცივი. ფეხებზე გკიდიათ ყველაფერი. თუმცა არა, ერთხელაც იქნება, სიკვდილის შიში თქვენც შეგაძრწუნებთ.

დ ო რ ნ ი. სიკვდილის შიში ცხოველური გრძნობაა. ადამიანმა იგი უნდა დათრგუნოს. შეგნებულად სიკვდილის მარტო იმას ეშინია, ვისაც იმქვეყნიური არსებობა სწამს და დარწმუნებულია რომ ჯოჯოხეთში ცოდვებისათვის პასუხს მოსთხოვენ. თქვენ კი, რამდენადაც ვიცი, არც მორწმუნე ხართ და არც ცოდვილი. აბა, რა ცოდვა ჩაგიდენიათ? 25 წელი სასამართლო უწყებაში მსახურობდით, ესაა და ეს.

ს ო რ ი ნ ი. (იცინის) 28 წელი...

(შემოდის ტრეპლევი და სორინის ფერხთით, დაბალ ტაბურეტზე მოიკალათებს. მაშა მას თვალს არ აშორებს. პაუზა).

დ ო რ ნ ი. კონსტანტინ გავრილოვიჩს ალბათ მუშაობა უნდა, ჩვენ ხელს ვუშლით.

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. არა, სრულებითაც არა. (პაუზა).

მ ე დ ვ ე დ ე ნ კ ო. ნება მომეცით, გკითხოთ, ექიმო, საზღვარგარეთ რომელი ქალაქი უფრო მოგეწონათ?

დ ო რ ნ ი. გენუა.

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. რატომ გენუა?

დ ო რ ნ ი. გადასარევი ხალხია ქუჩებში! თან ბევრი, განსაკუთრებით საღამო ხანს. სასტუმროდან გამოხვალ თუ არა, უსაქმო, უდარდელი ბრბო, წყალში ჩაგდებული ნაფოტივით, უცებ აგიტაცებს და წაგიღებს და მიგაქანებს თავის ნებაზე და შენც იძულებული ხარ დაემორჩილო იმის დინებას, სულით და ხორცით შეეთვისო მას და ისეთი გრძნობა გიპყრობს, ლამის არის მართლა დაიჯერო იმ იდუმალი მსოფლიო სულის არსებობა, რომლის როლს, ერთ დროს ასეთი შთაგონებით თამაშობდა თქვენს პიესაში ნინა ზარეჩნაია. ჰო, მართლა, სად არის ზარეჩნაია? ხომ არ იცით მისი ამბავი?

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. კარგად უნდა იყოს...

დ ო რ ნ ი. მე მითხრეს, მეტად თავისებურად ცხოვრობსო... რაშია საქმე.

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. ეგ გრძელი ამბავია.

დ ო რ ნ ი. მოკლედ თქვით.

(პაუზა).

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. ოჯახი მიატოვა და მოსკოვში წავიდა. იქ ტრიგორინის საყვარელი გახდა. ეს ალბათ იცით?

დ ო რ ნ ი. ვიცი.

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. მერე ბავშვი შეეძინა, ბავშვი მალე გარდაეცვალა. ტრიგორინმა გული აიცრუა მასზე და როგორც მოსალოდნელი იყო, ისევ თავის ძველ ტრფიალს დაუბრუნდა. თუმცა, იმ ძველ ტრფიალზე უარი არასოდეს უთქვამს — უბრალოდ, თავისი უნებისყოფობის გამო, ერთდროულად ახერხებდა ცხოვრებას აქაც და იქაც... ერთი სიტყვით, თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც მე ვიცი, ნინას ცხოვრება მაინცდამაინც ვერ აეწყო.

დ ო რ ნ ი. თეატრი?

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. ამ მხრით, მგონი უარესად წაუვიდა საქმე... მისი დებიუტი მოსკოვის გარეუბანში, რომელიღაც სააგარაკო თეატრის სცენაზე შედგა. მერე პროვინციაში გაემგზავრა. მეც გავყევი. იმხანად თვალყურს ვადევნებდი და სადაც წავიდოდა, ყველგან თან დავყვებოდი... სამწუხაროდ, წარმატება არსად არ ჰქონია. მნიშვნელოვან როლებს ეტანებოდა, მაგრამ არ გამოსდიოდა. თამაშობდა უხეშად, უგემოვნოდ, მეტყველებაც არ უვარგოდა, — წამღერებით ლაპარაკობდა, — ჟესტიკულაცია ხომ საშინელი ჰქონდა... მართალია, იყო მომენტები, როცა ნიჭიერად დაიძახებდა რაღაცას ან დამაჯერებლად მოკვდებოდა სცენაზე, მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა.

დ ო რ ნ ი. ესე იგი, მაინც ნიჭიერი ყოფილა?

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. ძნელია თქმა. ალბათ ნიჭიერია... მე ბევრჯერ ვნახე, მან კი არ ისურვა ჩემი ნახვა, მოსამსახურეს უბრძანა და მის ნომერში არ მიშვებდნენ. მეც არ მიცდია მასთან შეხვედრა, ვიცოდი, რა გუნებაზეც იყო...

(პაუზა).

რა გითხრათ კიდევ? შინ რომ დავბრუნდი, მისგან წერილები მომდიოდა. საინტერესო წერილებს მწერდა, გულთბილ და ამაღელვებელ წერილებს... არაფერს უჩიოდა, მაგრამ მე ვგრძნობდი, რაოდენ უბედურია. ყოველი ფრაზა ტკივილისაგან დაჭიმული ნერვივით წკრიალებდა... თან, ეტყობა, თავის გონზეც ვერ იყო: ყოველ წერილს, ბოლოში თავისი სახელის მაგივრად, „თოლიას“ აწერდა. თქვენ ალბათ გახსოვთ, პუშკინის „ალში“ მეწისქვილე თავის თავს „ყორანს“ უწოდებს. ჰოდა, ისიც, წერილებში სულ იმეორებდა „მე თოლია ვარო“... ახლა, მგონი აქ არი.

დ ო რ ნ ი. სად აქ?

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. ქალაქში. სასტუმრო-ბაკეზშია გაჩერებული. ხუთი დღეა, რაც იქ ცხოვრობს... წასვლა დავაპირე, მაგრამ, აგერ მარია ილინიჩნა ყოფილა მასთან და არ მიუღია... სემიონ სემიონიჩი კი ირწმუნება, გუშინ, სადილობის ხანს ვნახეო. მინდორში შეხვედრია, ორიოდე ვერსის მანძილზე აქედან.

მ ე დ ვ ე დ ე ნ კ ო. დიახ, ვნახე. ქალაქისკენ მიდიოდა. გამარჯობა ვუთხარი და ვკითხე, ჩვენთან რატომ არ გამოივლით-მეთქი. მოვალო, მითხრა.

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. არ მოვა. (პაუზა) მამამისს და დედინაცვალს მისი სახელის ხსენება არ უნდათ. ყარაულები დაუყენებიათ სახლის გარშემო, რომ იქაურობას არ გაეკარონ. (ექიმთან ერთად საწერ მაგიდასთან მიდის) ეჰ, ექიმო, ფილოსოფოსობა ადვილია, როცა წერ. საქმე საქმეზე რომ მიდგება, მაშინ არი ძნელი... მასზე შეყვარებულიც იყო.

დ ო რ ნ ი. რა ბრძანეთ?

ს ო რ ი ნ ი. შესანიშნავი გოგონა იყო-მეთქი. თქვენი მონა მორჩილი, „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი“ სორინი ერთხანს მასზე შეყვარებულიც კი იყო.

დ ო რ ნ ი. ბებერი მუსუსი!

(მოისმის შამრაევის სიცილი).

პ ო ლ ი ნ ა ა ნ დ რ ე ე ვ ნ ა. მგონი ჩვენები დაბრუნდნენ.

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. კი, დედაჩემის ხმა მესმის.

(შემოდიან არკადინა, ტრიგორინი, მათ შამრაევი მოჰყვება).

შ ა მ რ ა ე ვ ი. (შემოსვლისთანავე) აბა, რას გავს ეს! ჩვენ აქ ვბერდებით, ვიფიტებით, ასე ვთქვათ, დროისა და სტიქიის გავლენით, თქვენ კი, დიდად პატივცემულო, ისევ ისეთი ხართ, როგორიც იყავით: ახალგაზრდა, მკვირცხლი, კეკლუცი...

ა რ კ ა დ ი ნ ა. გაჩერდით, თვალი არ მცეს!

ტ რ ი გ ო რ ი ნ ი. (სორინს) პიოტრ ნიკოლაევიჩ, გამარჯობათ! რაშია საქმე, სულ რომ ავადმყოფობთ? არ ვარგა ასე, არ ვარგა! (მაშას დაინახავს, გახარებული) მარია ილინიჩნა!

მ ა შ ა. მიცანით? (ხელს ართმევს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიგორინი. გათხოვდით?

მაშა. რამდენი ხანია.

ტრიგორინი. ბედნიერი ხართ? (თავის დაკვრით ესალმება დორნს და მედვედენკოს, შემდეგ ტრეპლევს მიუახლოვდება) ირინა ნიკოლაევნამ მითხრა, თქვენ უკვე დაივიწყეთ, რაც მოხდა და აღარ მიჯავრდებით.

(ტრეპლევი ხელს ჩამოართმევს).

არკადინა. (შვილს) აი, ბორის ნიკოლაევიჩმა ჟურნალი ჩამოგიტანა, შიგ შენი მოთხრობაა დაბეჭდილი.

ტრეპლევი. (ჟურნალს გამოართმევს ტრიგორინს) გმადლობთ ყურადღებისთვის. (ყველანი ჩამოსხდებიან).

ტრიგორინი. თქვენი თაყვანისმცემლები მოკითხვას გითვლიან. პეტერბურგსა და მოსკოვში ერთობ დაინტერესებულნი არიან თქვენი პიროვნებით. სულ მეკითხებიან, რა კაციაო? აინტერესებთ როგორი ხართ, რამდენი წლის, შავგვრემანი თუ ქერა? რატომღაც ჰგონიათ, რომ ახალგაზრდა არ უნდა იყოთ. თქვენი ნამდვილი გვარიც აინტერესებთ, რადგან ფსევდონიმით იბეჭდებით. ერთი სიტყვით თქვენი პიროვნება, „რკინის ნიღბოსანი რაინდისა" არ იყოს, საიდუმლოებით არის მოცული.

ტრეპლევი. დიდი ხნით გვესტუმრეთ?

ტრიგორინი. არა, ხვალ ისევ მოსკოვში დავბრუნდები. რას იზამ, საჭიროა! მოთხრობა მაქვს დასამთავრებელი, თან რედაქციასაც დავპირდი რაღაცას... ჩვეულებრივი ამბავია!..

(ამასობაში არკადინა და პოლინა ანდრეევნა შუა ოთახში ბანქოს სათამაშო მაგიდას დგამენ. შამრაევს სკამები მოაქვს და სანთლებს ანთებს. კარადიდან ლოტოსაც გადმოიღებენ).

ამინდი მაინცდამაინც არ მწყალობს. ქარია. ამაღამ თუ ჩადგა, დილით სათევზაოდ წავალ... სხვათა შორის ბაღიც მინდა დავათვალიერო. განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც თქვენ ოდესღაც პიესა დადგით... ერთი მოთხრობა მაქვს ჩაფიქრებული და მოქმედების ადგილი მინდა გავიხსენო.

მაშა. (შამრაევს) მამა, იქნებ ეტლი ათხოვოთ ჩემ ქმარს? შინ ვერ წასულა.

შამრაევი. (გაღიზიანებული) ეტლი... ეტლი... (მკაცრად) ეს წუთია სადგურში მყავდა. ხელმეორედ ვარბენინო?

მაშა. სხვა ცხენებიც ხომ გვყავს? (შამრაევი სდუმს. მაშა ხელს ჩაიქნევს) თქვენგან რამეს ელირსები?

მედვედენკო. არა უშავს, მაშენკა, ფეხით წავალ.

პოლინა ანდრეევნა. (ამოიოხრებს) ასეთ ავდარში, ფეხით... (ბანქოს სათამაშო მაგიდას მიუჯდება) მობრძანდით, ბატონებო.

მედვედენკო. რა მოხდა მერე? ექვსიოდე ვერსია... მშვიდობით, მაშა! (ხელზე კოცნის) ნახვამდის, დედილო... (სიდედრი უხალისოდ უწვდის ხელს) არ შევაწუხებდით არავის, მაგრამ ბავშვი მარტოა და... ხომ იცით... (ყველას თავს უკრავს) მშვიდობით. (გადის დამნაშავე კაცის ნაბიჯით).

შამრაევი. (თვალს გააყოლებს) ფეხითაც კარგად მიბრძანდება, რომელი ღენერალი ეგა მყავს!

პოლინა ანდრეევნა. (მაგიდას მუშტს უკაკუნებს) ბატონებო, მობრძანდით. დროს ნუ ვკარგავთ, საცაა ვახშამი დაიწყება.

(შამრაევი, მაშა და დორნი მაგიდას მიუსხდებიან).

არკადინა. (ტრიგორინს) აქ ასეთი წესია: შემოდგომით, საღამო ხანს, განსაკუთრებით თუ უამინდობაა, ყოველთვის ლოტოს ვთამაშობთ... აი, შეხედეთ: ძველებური ლოტოა. ამ კოჭებით ჯერ კიდევ განსვენებული დედაჩემი გვეთამაშებოდა ბავშვობაში მე და ჩემ ძმას... თუ გნებავთ, ერთი ხელი ვითამაშოთ, სანამ ვახშამი დაიწყება? (ტრიგორინთან ერთად მაგიდას მიუჯდება) მოსაწყენი თამაშია, მაგრამ თუ მიეჩვიე, არა უშავს. (ყველას სამ-სამ კარტს ჩამოურიგებს).

ტრეპლევი. (ჟურნალს ათვალიერებს) თავისი მოთხრობა წაიკითხა, ჩემი კი არც გადაუფურცლავს, გვერდები გაუჭრელია... (ჟურნალს დადებს და მარცხენა კარისაკენ მიემართება. არკადინას რომ ჩაუვლის, დაიხრება და თავზე აკოცებს).

არკადინა. დაჯექი ჩვენთან, კოსტია.

ტრეპლევი. მაპატიე, დედა, არ მინდა... წავალ, გავისეირნებ.

არკადინა. ჩასვლა ორი შაურია! ექიმო, ჩადით ჩემს მაგივრად.

დორნი. ბატონი ბრძანდებით.

მაშა. ყველამ დადეთ ფული? ვიწყებ... ოცდა ორი!

არკადინა. არი.

მაშა. სამი!

დორნი. ჩინებულია!

მაშა. სამი დახურეთ? რვა!.. ოთხმოცდა ერთი! ათი!

შამრაევი. მოიცა, ნუ გაუტიე.

არკადინა. ხარკოვში ისეთი წარმატება მქონდა... პირდაპირ თავბრუ მეხვევა, რომ ვიგონებ.

მაშა. ოცდათოთხმეტი! (მოისმის მელანქოლიური ვალსის ჰანგები)

არკადინა. სტუდენტებმა ოვაცია მომიწყეს... სამი კალათი მომართვეს, ორი გვირგვინი... და აი... (ყელიდან ქინძისთავს მოიძრობს და მაგიდაზე დადებს).

შამრაევი. კარგი რამეა.

მაშა. ორმოცდაათი!

დორნი. ზუსტად ორმოცდაათი?

არკადინა. არაჩვეულებრივად ლამაზი კაბა მეცვა... ჩემი ამბავი ხომ იცით, ეგ არ შემეშლებოდა.

პოლინა ანდრეევნა. კოსტია უკრავს... დარდობს, საწყალი.

შამრაევი. გაზეთებში სულ ლანძღავენ.

არკადინა. ყურადღებას ნუ მიაქცევს.

ტრიგორინი. ბედი არ წყალობს. საკუთარი ხმა ვერა და ვერ მონახა. უცნაურად წერს, ბუნდოვნად... ზოგჯერ მისი ნაწერი ბოდვას გავს. არცერთი ცოცხალი სახე არა აქვს.

მაშა. თერთმეტი.

არკადინა. (სორინს გადახედავს) ხომ არ მოიწყინე, პეტრუშა? (პაუზა) ძინავს.

დორნი. ძინავს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს!

მაშა. შვიდი! ოთხმოცდაათი!

ტრიგორინი. ამისთანა სამოთხეში რომ ვცხოვრობდე, ასეთი ტბის პირას, თავის დღეში სტრიქონს არ დავწერდი. სულ ვითევზავებდი.

მაშა. ოცდა რვა.

ტრიგორინი. ჩიქვის ან ქანარის დაჭერას რა სჯობია. იჯექი შენთვის და ისიამოვნე.

დორნი. მე კი მჯერა, რომ კონსტანტინ გავრილოვიჩი ნიჭიერია. რაღაც არის მასში. არის, არის! სახეებით აზროვნებს. მისი მოთხრობები ძარღვიანია, ფერადოვანი... ისინი ჩემზე ძლიერ მოქმედებს. ერთი კი მართალია, ვერ გაიგებ, რისთვის წერს. ცარიელი შთაბეჭდილების გადმოცემით კმაყოფილდება, ამით კი ფონს ვერ გახვალ... ირინა ნიკოლაევნა, ხომ გსიამოვნებთ, თქვენი შვილი რომ მწერალია? მოგწონთ მისი მოთხრობები?

არკადინა. წარმოიდგინეთ, არ წამიკითხავს, ვერ მოვიცალე.

მაშა. ოცდაექვსი!

(ტრეპლევი ჩუმად შემოდის და თავის საწერ მაგიდას უახლოვდება).

შამრაევი. (ტრიგორინს) ბორის ალექსეევიჩ, თქვენ ერთი რამ დაგრჩათ ჩვენთან.

ტრიგორინი. რა?

შამრაევი. გახსოვთ, კონსტანტინ გავრილოვიჩმა თოლია რომ მოკლა? თქვენ მისი ფიტულის გაკეთება მთხოვეთ.

ტრიგორინი. არ მახსოვს. (დაფიქრების შემდეგ) არა, არ მახსოვს.

მაშა. სამოცდაექვსი! ერთი!

ტრეპლევი. (ფანჯარას გამოაღებს, მიაყურადებს) რა სიბნელეა! ნეტა, რად ვარ ასე შეშფოთებული?

არკადინა. ფანჯარა მიხურე, კოსტია, უბერავს!

(ტრეპლევი ფანჯარას დახურავს).

მაშა. ოთხმოცდარვა!

ტრიგორინი. დავამთავრე, ბატონებო!

არკადინა. ბრავო! ბრავო!

შამრაევი. მომილოცია!

არკადინა. ყველაფერში რომ ბედი აქვს ამ კაცს! (ადგება) წავიდეთ, ბატონებო, წავიხემსოთ. ჩვენს პატივცემულ სტუმარს დღეს არ უსადილია. ვახშმის შემდეგ განვაგრძოთ. (შვილს) კოსტია, მოეშვი მაგ ხელნაწერებს, ჭამის დროა.

ტრეპლევი. არ მშია, დედა, წადით თქვენ.

არკადინა. შენი ნებაა. (სორინს აღვიძებს) პეტრუშა! ვახშმობის დროა! (შამრაევს ხელს გაუყრის) მე თქვენ ახლა ხარკოვის ამბებს გიამბობთ...

(პოლინა ანდრეევნა მაგიდაზე ჩამორიგებულ სანთლებს აქრობს. შემდეგ ის და დორნი სორინის სავარძელს მიაგორებენ. ყველანი მარცხენა კარში გადიან. სცენაზე მარტო ტრეპლევი

რჩება. საწერ მაგიდას მიუჯდება).

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. (კალამს მოიმარჯვებს და უკვე დაწერილ ფურცლებს ათვალიერებს) რამდენს ვლაპარაკობდი ახალი ფორმების თაობაზე და ბოლოს, მგონი, მე თვითონ ძველ ყაიდაზე დავიწყე წერა... (კითხულობს) „ლობეზე გაკრული აფიშა იტყობინებოდა... მისი ფერმკრთალი სახე ყორნისფერი თმების ჩარჩოში იყო ჩასმული...“ იტყობინებოდა... ჩარჩოში ჩასმული... რა უნიჭობაა! (დაწერილს გადახაზავს) უბრალოდ დავიწყებ: მოთხრობის გმირი წვიმის ხმაურმა გამოაღვიძა. დანარჩენი გადასაყრელია. მთვარიანი ღამის აღწერაც გაჭიანურებულია... ტრიგორინს რა უჭირს, იმას წინასწარ გამომუშავებული ხერხები აქვს. დაგიწერს, მაგალითად: „საგუბართან, ბალახში, ბოთლის ნატეხი ბრწყინავდაო“, ან „წისქვილის ბორბლის ჩრდილი მელნის ლაქასავით იყოო“ და მთვარიანი ღამის სურათიც მზად არის! მე კი „მთრთოლვარე ნათელის“, „ვარსკვლავების ციმციმისა“ და „სურნელოვან ჰაერში როიალის შორეული ხმების“ მეტი, ვერაფერი დამიწერია! უბადრუკობაა, ღმერთმანი! (პაუზა) მაშასადამე, რა გამოდის? გამოდის, რომ არავითარი ძველი და ახალი ფორმები არ არსებობს, მწერალმა ამაზე არც უნდა იფიქროს, თავისუფლად უნდა წეროს ისე, როგორც მისი სული მოითხოვს? (გარედან ვიღაც ფანჯარას აკაკუნებს) ვინ არი? (ფანჯარაში გაიხედავს) არაფერი ჩანს... (აივნის კარს გააღებს და ბაღში გაიხედავს) ვიღაცამ ჩაირბინა კიბეზე... რომელი ხარ? (გადის. რამდენიმე წუთის შემდეგ ნინასთან ერთად ბრუნდება) ნინა! ნინა! (ნინა მკერდზე მიეყრდნობა და ჩუმად ქვითინებს. გულაჩუყებული) ნინა! ნინა! ეს თქვენა ხართ... თქვენ... მთელი დღე მოუსვენრად ვიყავი, თითქო რაღაცას ვგრძნობდი... (შლაპას და სალმანდს მოხდის) ჩემო კეთილო ნინა, ჩემო კარგო... მაშ მოხვედით? ნუ ტირით, გეთაყვა... არ გინდათ...

ნ ი ნ ა. მარტო ხართ?

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. დიახ.

ნ ი ნ ა. კარი დაკეტეთ, არ შემოვიდნენ.

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. არავინ შემოვა.

ნ ი ნ ა. მე ვიცი, ირინა ნიკოლაევნა აქ არი... კარი დაკეტეთ.

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. (მარჯვენა კარს გასაღებით დაკეტავს, მერე მარცხენა კარისკენ მიდის) ამ კარს კლიტე არ ქონია... სავარძელს მივადგამ. (კართან სავარძელს მიაჩოჩებს) ნუ გეშინიათ, არავინ შემოვა.

ნ ი ნ ა. (ყურადღებით ათვალიერებს) დამენახეთ ერთი, როგორი ხართ... (მიმოიხედავს) რა კარგია თქვენთან, თბილა... მაშინ აქ მგონი სასტუმრო იყო... ძლიერ გამოვიცვალე?

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. კი... გახდით და თვალები უფრო გაგიფართოვდათ... რა საოცრებაა, ნინა, რომ გხედავთ. აქამდე სად იყავით? თქვენ ხომ ერთი კვირაა აქ ხართ? იცით, ნინა, დღეში რამდენჯერმე დავდიოდი თქვენს სანახავად, მაგრამ სასტუმროში არ შემიშვეს და ფანჯრების წინ ვიდექი მათხოვარივით... რატომ არ გინდოდათ ჩემი ნახვა?

ნ ი ნ ა. მე მეგონა გძულდით და მეშინოდა... ყოველღამ მესიზმრებოდა, თითქო თქვენ მიყურებთ და ველარ მცნობთ... ეჰ, თქვენ არაფერი იცით. ჩამოსვლის დღიდან სულ აქ ვტრიალებ, ამ ტბის პირას. თქვენ სახლთანაც მოვსულვარ ბევრჯერ. მაგრამ შემოსვლა ვერ გავბედე... დავსხდეთ. (დასხდებიან) დავსხდეთ და ვილაპარაკოთ, კარგი? როგორ თბილა აქ, რა სიმყუდროვეა?! გესმით, რა ქარია? ტურგენევს უწერია ერთგან: „ნეტავი იმას, ვისაც ასეთ ღამეში თავშესაფარი გააჩნიაო...“ მე თოლია ვარ!.. არა, ეგ არა... (შუბლს მოისრესავს) რას ვამბობდი? ჰო, ტურგენევი ვახსენე... „ღმერთო, შენ შეეწიე ყველა უსახლკაროსა და მაწანწალას“... სისულელეა ესეც... (აქვითინდება).

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. ნინა, თქვენ ისევ... არ გინდათ.

ნ ი ნ ა. არაფერია, ახლავე გამივლის... ორი წელია არ მიტირია. წუხელ, გვიან ღამით ბაღში მოვედი, თქვენი „თეატრის“ ნახვა მინდოდა. მეგონა აღარ დამხვდებოდა, ის კი... ისევ ისეა... ავტირდი, ხომ იცით? პირველად, ორი წლის შემდეგ ავტირდი და გულზე მომეშვა... ხედავთ, მე უკვე აღარ ვტირი. (ხელს მოჰკიდებს) მაშ, თქვენ მწერალი გახდით. თქვენ მწერალი, მე კი — მსახიობი. ხედავთ, როგორ დაგვატრიალა ცხოვრების ჩარხმა? რად მინდოდა ეს? ვცხოვრობდი ჩემთვის, უდარდელად, ბავშვურად... დილით გამომელვიძებოდა და იმ წამსვე ავმღერდებოდი... ეჰ, ახლა რა? ხვალ დილით ელეცში უნდა გავემგზავრო. ამ სიცივეში, მესამე კლასის ვაგონით, მუჟიკებთან ერთად... ელეცში კი განათლებული ვაჭრების გაქნილ ქათინაურებს უნდა ვუსმინო... უხეშია ეს ცხოვრება, უხეში.

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. ელეცში რა გინდათ?

ნ ი ნ ა. ამ ზამთარს ანგაჟემენტი იქ მომცეს.

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. მე კი სულ თქვენზე ვფიქრობდი, ნინა. არ დაგიმალავთ, მძულდით, გაძაგებდით, თქვენს წერილებსა და ფოტოსურათებს ვხევდი, მაგრამ ერთი წუთითაც არ მშორდებოდა იმის შეგნება, რომ ჩვენი სულები სამუდამოდ შეერთდნენ და მათი დაშორება შეუძლებელია... არ შემიძლია არ მიყვარდეთ, ნინა! ეს ჩემს ძალას აღემატება! იმის შემდეგ, რაც დაგკარგეთ და ეგრეთწოდებულ ლიტერატურულ წარმატებას მივაღწიე, სიცოცხლე ტანჯვად გადამექცა, სულ დარდიანად ვარ. ახალგაზრდობის ნიშანწყალიც არ დარჩა ჩემში. ასე მგონია, ოთხმოცდაათი წლის ბებერი ვარ და ამქვეყნად არაფერი აღარ გამახარებს... სულ თქვენზე ვფიქრობ, სულ თქვენ გეძახით და ვკოცნი, ვკოცნი იმ მიწას, სადაც თქვენ დადიოდით! სადაც არ უნდა წავიდე, თქვენი სახე სულ თვალწინ მიდგას. ყველგან და ყოველთვის თქვენ ალერსიან ღიმილს ვხედავ... იმ ღიმილს, ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებში რომ მახარებდა და გზას მინათებდა...

ნ ი ნ ა. (შეწუხებული) რას ლაპარაკობს... ღმერთო, რას ლაპარაკობს...

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. მე მარტო ვარ, ნინა, სულ მარტო. ადამიანურ სითბოსა და სიყვარულს მოკლებული, ისე ვარ, თითქო დილეგში ვიყო გამომწყვდეული. მცივა და ვიყინები და ამიტომ, ყველაფერი, რასაც ვწერ უსიცოცხლოა და უბადრუკი... დარჩით აქ, ნინა! დარჩით, გემუდარებით, ან ნება მომეცით წამოგყვეთ!

(ნინა აჩქარებით შლაპას იხურავს, იცვამს).

რატომ, ნინა? ნინა, ღვთის გულისათვის... (შეწუხებული მისჩერებია ქალს, რომელიც წასასვლელად ემზადება. პაუზა).

ნ ი ნ ა. ეტლი ჭიშკართან მელოდება... ნუ გამაცილებთ, მე თვითონ წავალ. (ცრემლმორეული) წყალი დამალევინეთ.

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. (ჭიქას აწვდის) საით ახლა?

ნ ი ნ ა. ქალაქში. (პაუზა) ირინა ნიკოლაევნა აქ არის?

ტ რ ე პ ლ ე ვ ი. კი. პარასკევს ბიძაჩემი ცუდად შეიქნა და დეპეშით გამოვიძახეთ.

ნ ი ნ ა. რატომ მითხარით „იმ მიწას ვკოცნი, სადაც თქვენ დადიოდითო?“ მე მოსაკლავი ვარ. (მაგიდას დაეყრდნობა) ღმერთო, როგორ დავიღალე. ნეტა დამასვენა ახლა, ცოტა დამასვენა. (თავს ასწევს) მე თოლია ვარ! არა, ეგ არა... მე მსახიობი ვარ. ჰო, რასაკვირველია! (უცებ მიაყურადებს. მეზობელ ოთახიდან არკადინას და ტრიგორინის სიცილს გაიგონებს. ნინა მარცხენა კარს მივარდება და ჭუჭრუტანაში შეიხედავს) ისიც აქ ყოფილა!.. (ტრეპლევს მიუბრუნდება) ჰოდა... არაფერი... ჰო... თეატრის არაფერი სწამდა, სულ დასცინოდა ჩემს ოცნებებს და თანდათანობით მეც შევიცვალე, თეატრზე გული ავიცრუე და ხელი ჩავიქნიე... ამას სხვა ათასი საზრუნავიც დაემატა. ჩვენი სიყვარულის ამბები, ეჭვიანობა, მუდმივი შიში პატარა ბავშვის გამო... მოკლედ, დავწვრილმანდი, წავხდი, ველარ ვთამაშობდი... სცენაზე აღარ ვიცოდი, ხელები სად წამეღო, როგორ გამევლო, რა გამეკეთებინა. ხმაც წამიხდა... თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა საშინელებაა, როცა თამაშობ და თვითონვე გრძნობ, რა უბადრუკი ხარ. მე თოლია ვარ... არა, ეგ არა... გახსოვთ, თქვენ ერთხელ თოლია მოკალით? ისე, შემთხვევით... მოვიდა კაცი, დაინახა თოლია და მოკლა. მოკლა იმიტომ, რომ უსაქმოდ იყო.... პატარა მოთხრობის სიუჟეტია... არა, ეგ არა. (შუბლს ისრესს) რას ვამბობდი? ჰო, სცენაზე მოგახსენებდით. ახლა მე ის აღარ ვარ. ახლა მე ნამდვილი მსახიობი გავხდი. სიამოვნებით ვთამაშობ, ვტკბები საკუთარი თამაშით და ყველაფრით კმაყოფილი ვარ! დიახ... ამჟამად კი, სანამ აქა ვცხოვრობ, სულ ფეხით დავდივარ, სულ დავდივარ და ვფიქრობ, ვფიქრობ, ვფიქრობ და ვგრძნობ, როგორ მემატება დღითიდღე სულიერი ძალა... მე ახლა ვიცი, კოსტია, ვიცი, მივხვდი, რომ ჩვენ საქმეში, — სულერთია მსახიობი ხარ, თუ წერ რამეს, — მთავარი სახელის მოხვეჭა კი არ არის, მოთმინების უნარია! ბოლომდე უნდა ზიდო შენი ჯვარი და გჯეროდეს, რომ მართალი ხარ. მე, მაგალითად, მჯერა... მჯერა და ჩემს მოწოდებაზე რომ ვფიქრობ, აღარაფრის არ მეშინია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრეპლევი. (ნაღვლიანად) თქვენ მონახეთ საკუთარი გზა, იცით, საით მიდიხართ... მე კი... მე ჯერ ისევ ჩემი ოცნებებისა და ფანტაზიების ტყვეობაში ვარ, ამ ქაოსში ვტრიალებ და თვითონაც არ ვიცი, რას ვაკეთებ... მე არა მჯერა არც ჩემი საქმის, არც ჩემი თავის და დღემდე არ ვიცი, რისთვის ვარ მოწოდებული.

ნინა. (მიაყურადებს) სსუუ... მე წავედი. მშვიდობით... დიდი მსახიობი რომ გავხდები, ჩამოდით და მნახეთ. კარგი? პირობას მაძლევთ? ახლა კი... (ხელს ჩამოართმევს) უკვე გვიანაა. ფეხზე ძლივს ვდგევარ... დავიღალე და მშია.

ტრეპლევი. დარჩით, ნინა, საჭმელს მოგიტანთ.

ნინა. არა, არა... ნუ გამაცილებთ, მე თვითონ წავალ. ეტლი ჭიშკართან მიცდის. (პაუზა) მაშ, ირინა ნიკოლაევნას ისიც ჩამოუყვანია. რას იზამ? ჩემთვის ახლა სულერთია... ტრიგორინს რომ შეხვდებით, ნურაფერს ეტყვით. მე მიყვარს ის კაცი. წარმოიდგინეთ, ახლა უფრო მეტად მიყვარს. პატარა მოთხრობის სიუჟეტად გამოდგება... მართლა მიყვარს... გიჟურად, თავდავიწყებით... პირდაპირ სასოწარკვეთილებამდე მიყვარს. რა კარგები ვიყავით უწინ, არა? გახსოვთ, რა ნათელი, რა თბილი და მხიარული, რა სუფთა ცხოვრება გვქონდა? ჩვენი გრძნობები უმანკო ყვავილებს გვანდნენ... გახსოვთ? (კითხულობს) „ლომები, ლომები, არწივები და კაკბები, ქორბუდა ირმები, გარეული ბატები, ობობები და წყალში მოცურავე თევზები, ზღვის ვარსკვლავები და აგრეთვე ისინიც, ვისაც ადამიანის თვალი ვერ ჰვრეტდა, — ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც ოდესღაც ცოცხლობდა, სუნთქავდა, არსებობდა, — ყოველივე ეს, გაქრა, განადგურდა, გაცამტვერდა... ათასი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც დედამიწის პირიდან სიცოცხლე აღიგავა და მხოლოდ ეს უბადრუკი საცოდავი მთვარის ფარანი ტყუილუბრალოდ ანთია ცის კაბადონზე... აღარ ყივიან ჭალებში გაღვიძებული წეროები და აღარ ბზუიან ბალახებში მოფუსფუსე მწერები...“

(უცებ გადაეხვევა ტრეპლევს და აივნის კარში გავარდება).

ტრეპლევი. (პაუზის შემდეგ) ნეტა არავინ დაინახოს ბაღში, თორემ დედაჩემს ეტყვიან და ეწყინება...

(რამდენიმე წუთის განმავლობაში უხმოდ ხევს თავის ხელნაწერებს და მაგიდის ქვეშ ყრის, შემდეგ გააღებს მარჯვენა კარს და გადის).

დორნი. (მარცხენა კარის უკან კარს აწვება) დაკეტილია თუ რაა? (შემოდის, სავარძელს თავის ადგილზე შიაჩოჩებს) ამას დოლი ქვია დაბრკოლებათა გადალახვით. (შემოდიან არკადინა, პოლინა ანდრეევნა და იაკობი ბოთლებით ხელში. მათ მოჰყვებიან მაშა, შამრაევი და ტრიგორინი).

არკადინა. წითელ ღვინოს ჩვენ დავლევთ, ლუდი კი ბორის ალექსეევიჩს დაუდგით. თან ვითამაშოთ, თან ვსვათ... დავსხდეთ, ბატონებო.

პოლინა ანდრეევნა. (იაკობს) ჩაიც მოგვართვი!

(სანთლებს ანთებს, მაგიდას მიუჯდება).

შამრაევი. (ტრიგორინს კარადასთან მიიყვანს) აი ის, რომ გეუბნებოდით. (კარადიდან თოლიის ფიტულს გადმოიღებს) თქვენთვის გავაკეთებინე.

ტრიგორინი. (ფიტულს მისჩერებია) არ მახსოვს. (დაფიქრების შემდეგ) არა, არ მახსოვს! (სცენის მარჯვენა მხრიდან მოკლე და მჭახე ხმა ისმის. ყველანი შეკრთებიან. პაუზა)

არკადინა. (შეშფოთებული) რა იყო?

დორნი. არაფერია. ჩემს სამგზავრო აფთიაქში წამლის ბოთლი გატყდებოდა. ნუ წუხდებით. (მარჯვენა კარში გადის და სწრაფად ბრუნდება) ხომ გითხარით, ეთერის შუშა გამსკდარა. (ღიღინებს)

«Я вновь перед тобою, стою очарован»...

არკადინა. (მაგიდას მიუჯდება) უჰ, როგორ შემეშინდა... მე მეგონა... (სახეზე ხელებს აიფარებს) თვალებში ველარ ვიხედები.

დორნი. (ჟურნალს აიღებს, ტრიგორინს) ორიოდე თვის წინათ ამ ჟურნალში ერთი წერილი გამოქვეყნდა... ამერიკიდან იწერებოდა ვიღაც... ჰოდა, ამ თაობაზე მინდოდა მეკითხა თქვენთვის... (ტრიგორინს წელზე ხელს მოხვევს და ავანსცენაზე გამოიყვანს) ძალზე მაინტერესებს... (ხმას დაუწევს, ჩუმად) ირინა ნიკოლაევნა სადმე გაიყვანეთ... ეს წუთია კონსტანტინ გავრილოვიჩმა თავი მოიკლა...

ფარდა

# ქრონიკა

● მოსკოვში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის შენობის საგამოფენო დარბაზში მორიგი ექსპოზიცია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მხატვართა ნაწარმოებებს დაეთმო. წარმოდგენილი იყო ორმოცდაათი ავტორის ასი ნამუშევარი, რომელთაგან ბევრი პირველად გამოიფინა. ფერწერულ, სკულპტურულ, გრაფიკულ ნაწარმოებებში დამთვალიერებელთა თვალწინ გადაიშალა ოსეთის თანამედროვე ცხოვრება, ქვეყნის წარსული, ისტორიისა და დიდი სამამულო ომის პერიოდის ამსახველი სურათები, მოწინავე ადამიანების, გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტები. ნამუშევრები აღბეჭდილია ეროვნულობით, სტილისტიკის მრავალფეროვნებით, რაც მათი ავტორების ოსტატობის თვითმყოფადობაზე მიგვანიშნებს. ამასთან, ჩანაფიქრთა სიღრმე და ორიგინალობა საინტერესოს და შთამბეჭდავს ხდიდა სამხრეთ ოსეთის მხატვართა ქმნილებების ვრცელ ექსპოზიციას.

● თბილისის გრიბოედოვის სახელობის დრამატულმა თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა მ. შატროვის პიესა „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“. სპექტაკლი ეძღვნება ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავს.

სპექტაკლი დადგა გრიბოედოვის სახელობის თეატრის მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ჟორდანიამ, რეჟისორია ლ. ჯაში, მხატვრულად გააფორმა ლ. მანთიძემ, მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ ა. რაქვიაშვილს.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. კაზინეცი (ვ. ი. ლენინი), ა. პონომარიოვა (ნატაშა), დ. სიხარულიძე (დოლგოვი), ი. კოპჩენკო (ობუხი), ლ. გავრილოვი (ციურუპა), ლ. პიარნი (ახალგაზრდა თანამშრომელი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. ზლობინი (ხოდოკი), ი. პოდკოპაევა (საპოჟნიკოვა), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. სიომინა (იარმატოვა), ვ. ზახაროვი (ტიხონოვ-ლუგავოი), ხ. პილიევი (გონჩაროვი), ვ. ვოინოვა (პივოვაროვა), ე. აბზიანიძე (ნარენკოვა), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. ლევინი (ექიმი ეპშტეინი), ვ. გრუზეცი (ხრისტოვოი) და სხვები.

